

საჩინო გაფატი

№25 (758)
ოთხშაბათი
10 ივლისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

...ეუთოე - „ნურს გაფრინდები და ნურს მოფრინდებიო“ ...

**ბიძინა ივანიშვილს
პოლიტიკურ
ქველმოქმედებას
არ პატიობან**



**სხვა ქვეყანაში
ნათქვამი ჩემს
ქვეყანაზე გავლენას
არ უნდა ახდენდეს!**



**მა ბატყვით,
ვინ არის
„ომის პარტია“ ...**

**დასავლეთს სურს,
საქართველოში
ჩვენი კი არა, **ვისი**
ინტერესი გავატაროთ**

**მაკრონის ვინისტრები და
ჩინოვნიკები სამსახურებს ეძებან**

**სპასტიკა
ყველა ღროის
იღუბალი კოსვიური
ნიშანი**



ჩვენი ეზოს „სენატის“ სხდომა

ყველა პირველია, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ყველგან, სადაც ქართულ საქმეს მხარდაჭერა სჭირდება

„ეს ერთი თვეა, საქართველოში მოვლენები ჩვეულ რიტმში ვითარდება და განსაკუთრებული არაფერი ხდება, გარდა ერთისა: ქართველმა ფეხბურთელებმა საქართველოს უდიდესი სიხარული აჩუქეს, როდესაც პირველივე ევროპის ჩემპიონატზე უდიდეს წარმატებას მიაღწიეს და ევროპა ქართული საფეხბურთო ნიჭის შესახებ ალაპარაკეს. ეს წარმატება იყო უდიდესი ბედნიერება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც, ბოლო რამდენიმე წელია, 1990-იან და 2004-2012 წლებში დაკარგულ სიამაყის გრძობას თანმიმდევრულად იბრუნებს.“

ყველაფერი დანარჩენი „მოსაწყენი“ ცხოვრების ჩვეულებრივი გაგრძელება იყო. არაფერი არაჩვეულებრივი არ იყო იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ქართველი ხალხისთვის მინიჭებული სიხარული დაუფასა და უპრეცედენტო ჯილდო გადასცა. მან გააკეთა ის, რასაც, 3-მილიარდოლარიანი ქველმოქმედების ფონზე ყველა ელოდა და შესაბამისად, ვერავისთვის გასაკვირი ვერ იქნებოდა. ყველა მიჩვეულია, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ყველგან, სადაც ქართულ საქმეს მხარდაჭერა სჭირდება. უცნაური სწორედ ის იქნებოდა, ის ქართული ფეხბურთის წარმატებას გვერდში რომ არ დადგომოდა.

მადლიერებაც ხომ საზოგადოდ, და, მით უმეტეს, საქართველოში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. შეუძლებელია, ჯანსაღმა ადამიანმა გაიკვიროს და მით უმეტეს, ფეხბურთელების შეურაცხყოფის მიზეზად აქციოს ელემენტარული მადლიერება, რომელიც მათ გამოხატავს. მადლობა რომ არ გადაეხადათ, ზუსტად ეს იქნებოდა უცნაური. მადლიერება დღესთვის ელემენტარული გამოხატულებაა, რომელიც ჩვენი ნაკრების ბიჭებსა და საფეხბურთო მოედანზე და მოედნის მიღმა უკვე დიდი ხანია, ჭარბად დაამტკიცეს.

„მოსაწყენი“ ცხოვრების ნაწილი იყო კოლექტიური ნაცემობის რეაქცია ფეხბურთელებისთვის გაცემულ ჯილდოზე. უკვე დიდი ხანია, მიჩვეული ვართ, რომ, როდესაც ქვეყანა წარმატებას ზეიმობს, კოლექტიურ ნაცემს ბოლომდე ახრჩობთ. „მოსაწყენი“ ცხოვრების ნაწილია ის, რომ ნაცემი ამ ქვეყნის დაუძინებელი მტრები არიან, რაც ქართულმა საზოგადოებამ უკვე დიდი ხანია, კარგად გაიაზრა. სწორედ ამიტომ, მათ კიდევ ერთხელ სცადეს, ჩვეული „ღმუილით“ გადაეფარათ ის ზეიმი და ბედნიერება, რომელიც ქართველ ხალხს ნაკრების წარმატების შემდეგ დღემდე მოჰყვება.

ჩვენს საამაყო ფეხბურთელებს არ უნდა ეწყინოთ არცერთი ბოღმიანი სიტყვა, რომელიც ლიბერალურ-ფაშისტურმა უმცირესობამ მათ სრულიად ბუნებრივ მადლიერებას დაუპირისპირა. როდესაც ქვეყნის მტერი გლანძღავს, ეს ნიშნავს, რომ სწორად იქცევი და სწორი



ადამიანი ხარ. ისინი ქვეყნის მტრები არიან, თქვენ კი პატრიოტები ხართ და ასეთ პირობებში, მათი თქვენთან დაპირისპირება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

ძალი ყვეს და ქარაგანი მიდის, - ქვეყნის მტრები წუხან, მაგრამ ქართული ფეხბურთის წინ მიდის. ლიბერალური ფაშიზმი ვერც საქართველოს და ვერც ქართული ფეხბურთის წინსვლას ვერ შეაფერხებს. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ მრავალი გამარჯვება გველის, რასაც ჩვენი პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყანა და საქართველოს ყველა პატრიოტი ასე ძლიერ იმსახურებს”, - აღნიშნა პრემიერმა.

უნივერსიტეტისა და ქვეყნის მშენებლის ქუჩებს ახალი გზა და გვირაბი დააკაშვირებს

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უნივერსიტეტისა და ქვეყნის მშენებლის ქუჩების დამაკაშვირებელი ახალი გზის და გვირაბის მშენებლობის პროექტს ახორციელებს.

მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან და ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან, გიორგი ტყემალაძესთან ერთად გაეცნო.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, პროექტის შედეგად, ბაგები-წყნეთიდან უნივერსიტეტის ქუჩისკენ წამოსული ნაკადები გადანაწილდება და მოძრაობა განიჭვრიტება.

„დავიწყეთ ახალი პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად, ბაგების ახალი ხიდიდან მომავალ ავტომობილებს პირდაპირ დააკაშვირებს ქვეყნის ქუჩასთან, შავიშვილის ქუჩის გავლით. ბაგები-წყნეთიდან წამოსული ნაკადები, ძირითადად, უნივერსიტეტის ქუჩის მიმართულებით მიდის. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე მოხდება ნაკადების გადანაწილება და მოძრაობის განიჭვრიტება. სამუშაოები მომავალი წლის იანვარში მთლიანად დასრულდება. პირველ მონაკვეთზე გვირაბი გაკეთდება, რომელიც შავიშვილის ქუჩას გაივლის და ქვეყნის ქუჩას დაუკავშირდება.“

პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ქალაქში მსგავსი სამუშაოები მიმდინარეობს”, - განაცხადა დედაქალაქის მერმა.

აღნიშნული გვირაბი უნივერსიტეტის მალევე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყება და გასასვლელი მიხილ შავიშვილის ქუჩას შეუერთდება, რომელიც პეტრე ქვეთარაძის ქუჩასთან არის დაკავშირებული.

პროექტის ფარგლებში, გვირაბის მისასვლელ-გამოსასვლელი პანდუსები და ტროტუარები მოწყობა. ასევე, ჩატარდება საინჟინერო სამუშაოები, მოეწყობა სანიაღვრე ქსელი, დამონტაჟდება LED-სანათები. ასევე, გვირაბის გასწვრივ რკინა-ბეტონის დამცავი კედლები მოეწყობა.

გვირაბში გათვალისწინებულია ავტოტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობა - თითო ზოლი თითო მიმართულებით.

თბილისის მერთან ერთად, მიმდინარე სამუშაო პროცესს მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გია აბუთიძე, ვაკის რაიონის გამგებელი დავით კვინიკაძე და პარლამენტის დეპუტატი ნოდარ ტურმელიაძე ადგილზე გაეცნენ.

თბილისის მერიის განხორციელება

თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მიმდინარე ტექნიკური სამუშაოების გამო, მიმდინარე წლის 8 ივლისიდან დროებით წვევტს საქმიანობას მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი.

მოქალაქეები შესაბამის მომსახურებას კონკრეტული მიმართულებების მიხედვით მიიღებენ რამდენიმე რაიონულ სერვის ცენტრში. კერძოდ:

თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს, არქიტექტურის სამსახურის, თბილისის მუნიციპალური ინსპექციის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეები მომსახურებას მიიღებენ კოსტავას N72-ში.

რაც შეეხება ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურების, ასევე, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კომპეტენციაში არსებულ საკითხებს, მოქალაქეები შესაბამის მომსახურებას მიიღებენ ვაკის რაიონულ სერვის ცენტრში, მისამართზე - თამარაშვილის N10ა და საბურთალოს რაიონულ სერვის ცენტრში, მისამართზე - მიცკევიჩის N20.

ააიპ „ჩემი ადვოკატი“ მოქალაქეებს მოემსახურება ყველა რაიონულ სერვის ცენტრში.



ჩემი განვლილი სწავლება სიყვარულისა და შეხვედრის გზა



თუშური ნულიდან ფიქრის გორამდე

ბავშვობა ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი მოსაგონარია. მაგალითად, მე ბავშვობის მოგონებები ბევრად მძაფრად, ემოციურად მახსოვს, ვიდრე დღევანდელი, გუშინდელი ან გუშინწინდელი დღე. ცხოვრების განვლილ გზაზე ბავშვობა ყველაზე ძვირფასი პერიოდია იმიტომ, რომ სამყაროს აღქმა სწორედ იქიდან იწყება. ბავშვობას კიდევ ის ხიბლი აქვს, რომ შენ გარშემო თავმოყრილი არიან ის ადამიანები, რომელთაც მართლა უყვარხარ და შენთვის ყველაფრის გაღება შეუძლიათ — ეს არის ოჯახი: მშობლები, ბებიები, ბაბუები. ეს გარემო უძვირფასესია. ჩემი ბავშვობის მოგონებები სავსეა ამ ადამიანებით, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან, რაც ყველაზე დიდი ტკივილია. ბავშვობაზე კარგი პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში არ არსებობს. სამწუხაროდ, ეს ყველას როდი ეხება. მსოფლიო მრავალფეროვანია და ათასი უკუღმართობა ხდება.

რაც შეეხება პირადად ჩემს ბავშვობას, ფეხი თუშეთში, რვა თვის ასაკში ავიდგი. დედა — სოფიკო ჭიაურელი მიყვებოდა, თუშური წულეები გეცვია და ამ დროს შენთან ახლოს ცხვრის ფარამ ჩამოიარაო. ერთი-ერთი ცხვრისთვის ხელი ჩამიკიდია და ასე გავეყოლილვარ ფარას. ცხვარი ჩქარა მიდიოდა, ამიტომ მე ხელი გამიშვია და სიარული თვითონ გამიგრძელებია. დედა ხუმრობდა: ამის მერე წახვედი და წახვედი, მთელი მთა-ბარი მოიარეო. ძალიან ცუდი ბავშვი ვიყავი, სულ ქუჩაში თამაში მინდოდა, სპორტითაც ვიყავი გატაცებული, სახლში გვიანობამდე არ შევიდიოდი. ჩემი უბანი (ვერაზე, ფიქრის გორაზე გავიზარდე) გარკვეულწილად, დიდი ოჯახით, სახლივით იყო. მამის ჩემს დედაქალაქს სულ სხვა ხიბლი ჰქონდა. კარგი ქალაქი იყო თბილისი. თბილისში თბილისელები ცხოვრობდნენ. ჩემი უბნის მაცხოვრებლები ყველა ერთმანეთს იცნობდა. თითოეულმა იცოდა, ვინ, ვისი შვილი იყო. ამიტომაც მშობლებს ბავშვების ქუჩაში გაშვების არ ეშინოდათ. უბანში თითქმის ყველა უფროსი ამ ბავშვებზე პასუხისმგებელი იყო. რა თქმა უნდა, მეც ისე გავიზარდე, დიდ დროს ქუჩაში ვატარებდი. ბევრითი მოსწავლე არ ვყოფილვარ,

თუმცა გამორჩეულად გეომეტრია და ლიტერატურა მიყვარდა. გაგიკვირდებოთ, მაგრამ ფიზიკა ჩემში სერიოზულ ინტერესს იწვევდა. ამ საგნებში ფრიადოსანი ვიყავი.

ლომის ღრილაზე ბავშვობის „მეზღვე“

ისევე, როგორც ყველას, ბავშვური ოცნება მეც მქონდა. ჩემი ოცნება სპორტს უკავშირდებოდა: ძალიან მინდოდა თხილამურებზე დგომა და ფეხბურთელობა. სპორტი ბავშვობიდანვე მიტაცებდა, ფეხბურთს საკმაოდ კარგად ვთამაშობდი, ასევე, მიყვარდა ჩოგბურთიც. ჩვენს უბანში, კიროვის პარკში (ახლანდელი ვერის პარკი) დიდი სტადიონი იყო და სათამაშოდ იქ დავდიოდით. მშობლები უშიშრად გვიშვებდნენ, რადგან მამის ქალაქში ამდენი მანქანა არ დადიოდა, სამ საათში ერთხელ ერთი მანქანა თუ ჩაივლიდა ხოლმე. ფიქრის გორა ვარაზის ხევს გადაჰყურებს და გზას რომ გაეცქეროდი, მანქანები კანტიკუნტად დადიოდნენ. სპორტის გარდა, ძალიან მიყვარდა ცხოველებთან ურთიერთობა. ზოობარკი სახლთან ახლოს იყო და იქ ხშირად დავდიოდით. ჩემი სახლი პირდაპირ ზოობარკს გადაჰყურებს და ბავშვობაში ყოველ დღით ლომის ღრილაზე ვიღვიძებდი. ვისმენდი მაიმუნების ჭყლოპინს, ჩიტების გალობას, მერე ლომიც დაიღრიალებდა და ასე მაცილებდნენ სკოლისკენ. ასე რომ, გარკვეულწილად, ჩემი



რუბრიკის დღევანდელი სტუმარი ის ადამიანია, რომელიც თეატრთან, კინოსთან, მხატვრობასთან, ნიჭიერებასთან, იმ ადამიანებთან ასოცირდება, რომელთაც დიდი ეპოქა შექმნეს. მის სახლს, სადაც რიხტერი, რუხველტის შვილი და სხვა გამოჩენილი ადამიანები სტუმრობდნენ, საფუძვლად სიყვარული უდევს. იქ გაიზარდა, სადაც მისმა ბებამ — ვერიკო ანჯაფარიძემ მთავარ სიყვარულს — მიხეილ ჭიაურელს პირველად აკოცა. დიდი შემოქმედების, სოფიკო ჭიაურელისა და გიორგი შენგელაიას ვაჟმა, ცხოვრება მხატვრობას დაუკავშირა. მიაჩნია, რომ ამ საქმიანობის დაუფლებაში თავად სამყარო ეხმარება. საშობლოზე უზომოდ შეყვარებული, საკუთარ თავს მხელად გადასარგავ მცენარეს უწოდებს. მისი აზრით, ადამიანი ისე სწორად უნდა იყოს ნაშენები, რომ არ გაიბზაროს. ამიტომ, მართლად დარჩენილი საკუთარ თავს ყოველდღე ეკითხება: ვის რა არგო, როგორ იცხოვრა.

განვლილი ცხოვრების საინტერესო დეტალებს: რატომ დარგო ეზოში ბროწეულის ხე, რატომ არ ატარებს დედის — სოფიკო ჭიაურელის ნივთებს, როგორ გაიცნო ცხოვრების თანამგზავრი და სხვა სათავგადასავლო ამბებს, მხატვარი ნიკოლოზი შენგელაიანი თავად გვიამბობს:

ბავშვობა მაუგლის ბავშვობასაც ჰგავდა. ძალიან მძიმედ გადავიტანე, როცა იენისში მომხდარი ტრაგედიის, წყალდიდობის დროს ცხოველების დიდი ნაწილი, რომელსაც ყოველდღიურად სახლის ფანჯრებიდან ვუყურებდი, დაიხოცა. ეს საშინელება იყო.

სიყვარულის შემოქმედელი

სკოლა დავამთავრე და სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ჩავაბარე. პაპაჩემი — მიხეილ ჭიაურელი საკმაოდ კარგად ხატავდა და მასთან ერთად მეც ხშირად ვხატავდი. მე-6-მე-7 კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა ჩემი ნახატები მამას შეგობრებმა, ცნობილმა მხატვრებმა: გოგი ოჩიაურმა, ავთო ვარაზმა, ზურა ნიჟარაძემ ნახეს და ძალიან მოეწონათ. მათ ჩემი ნიჭი დაინახეს და მხატვრობისკენ მიბიძგეს. პროფესიის არჩევანზე გავლენა პაპამ და მამამ იქონიეს, რომლებიც ჩემს ნახატებს აგროვებდნენ. ასე ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში. მხატვრობა უფრო თავისუფალი პროფესიაა, ვიდრე კინო. როცა ამ ხელობას ვეზიარე, ძალიან შემეყვარდა, ჩემი ნაწილი გახდა. პირველად რა დავხატე, არ მახსოვს. ბიჭები, ძირითადად, სახლებს, მანქანებს ხატავენ. მე რატომღაც უფრო მეტად თვითმფრინავების ხატვა მიტაცებდა. დიღომში ბაღი გვაქვს და ამიტომ აყვავებული ალუბლები და ატმის ხეების ნახატიც ბევრი მქონდა. ამჟამად სახლში ჩემი ნახატები ბევრი აღარ შემომრჩა. ბოლო პერიოდში უმუშევარი ვიყავი და ნახატები, რაც მქონდა, ზოგი გავყვიდე, ზოგი გავაჩუქე. ჩემს ხატვის ტექნიკას რაც შეეხება, გამორჩეული არაფერია, ჩვეუ-

ლებრივ ვხატავ, როგორც ყველა მხატვარი. თუმცა, ზოგს ხატვის გამორჩეული ტექნიკა აქვს. დღეს ისეთი ეპოქაა, მხატვრობაში, ხელოვნებაში ყველაფერი მოსულა. ბოლოს რაც დავხატე, პორტრეტი იყო. ძალიან მიყვარს პორტრეტების ხატვა. ასევე ნატურმორტების — იმ ნივთების ხატვა, რაშიც შენ არსებობ. ეს შენს შინაგან სამყა-

მხატვრებიდან გამორჩეულად რემბრანტი მიყვარს. ასევე, ველასკესი, ფიროსმანი, ლეონარდო და ვინჩი... კარგი მხატვრების ნახატები ყოველთვის ცოცხალია და საუკუნეებს უძლებს. არსებობს მიმდინარეობები, რომლებიც ათი წელი იარსებებს და მერე აღარავის ემახსოვრება. მხატვარი ნახატში უნდა გადავიდეს. მან იქ თავის სიცოცხ-



როს გადმოსცემს. ყველაზე კარგად ჩემი განწყობა პორტრეტებში გადადის. ზოგადად, არ მიყვარს ჩემს მხატვრობაზე ლაპარაკი, რადგან ნახატს იმიტომ ქმნი, რომ ის თავად ლაპარაკობს ავტორზე მის მაგივრად. სხვათა შორის, არც სოფიკოს პორტრეტი მაქვს დახატული და არც ვერიკოსი, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. დედა ყოველთვის მეუბნებოდა, მუდმივად რომ არ ვიცოცხლებო, დედაჩემის — ვერიკოს პორტრეტი მაინც დახატეო. ისე მოხდა, რომ არ დავხატე. როცა მშობლები, ბებია-ბაბუა ცოცხალი გვაყავს, გგონია, რომ ისინი ყოველთვის შენთან იქნებიან. შემოქმედებაში კომპრომისზე არ მივდიოდი — რაც მინდოდა, იმას ვხატავდი. საქართველოს და არა მარტო ჩემი ქვეყნის, მთელმა მხატვრებმა დახატეს სოფიკოც და ვერიკოც. ამიტომ მე ჩავთვალე, რომ მერჩვენა უცნობი, უბრალო ადამიანების პორტრეტები დამეხატა. ცნობილი ადამიანების პორტრეტების ხატვა არ მიყვარს. მე უფრო სახასიათო პორტრეტებს ვხატავდი, რაც თავად მომწონდა. ბევრი ასეთი პორტრეტი მაქვს დახატული: კურსელების, ნაცნობების...

ლე უნდა დატოვოს, რათა მასში ცხოვრება გააგრძელოს.

საუბრებს ბარბი მოპოვებული აღიარება

ჩემი ნამუშევრები საფრანგეთში, პოლანდიაში, რუსეთში კერძო კოლექციებშია დაცული. მამის საფრანგეთში ვცხოვრობდი და ჩემს ნახატებს გამოფენებზე იძენდნენ. გარდა ამისა, კერძოდაც ყიდულობდნენ, გალერეებისთვის. რაღაცით ხომ უნდა მერჩინა თავი, ამიტომ ნამუშევრებს ვქმნიდი და ვყიდდი. პარიზში ხუთი წელი ვიცხოვრე. გარდა იმისა, რომ ვხატავ, „ხარება და გოგონა“, „მიდიოდა მატარებელი“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობის“ და სხვა ფილმების დამდგმელი მხატვარი ვარ. „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ გამორჩეულად მიყვარს, რადგან ამ ფილმში მამასთან — გიორგი შენგელაიასთან ერთად მომიწია მუშაობა (მამა რეჟისორი, მე კი დამდგმელი მხატვარი გახლდით). ეს ფილმი ჩემთვის თავისი მხატვრული დირეულებითაც ძალიან ძვირფასია. ფილმებზე მუშაობის დროს იმდენი საინტერესო ამბავი გადამხდენია, რომ მოგვეყ, „საერთო გაზეთის“



ფურცლებზე არ დაეტევა. წარმოიდგინეთ, შეხება მიწვედა ისეთ ბუმბერაზ მსახიობებთან, როგორებიც იყვნენ: რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი... „ხარება და გოგიაშიც“ არაჩვეულებრივ ადამიანებთან, მსოფლიო ჩემპიონებთან — ლევან თედიაშვილთან და ომარ ფხაკაძესთან მიწვევდა ურთიერთობა. ნიჭიერი ხალხი ერთმანეთს ადვილად პოულობს. გარემოც საოცარი იყო — მეგობრული, მხიარული, ოღონდ საქმიანი. ყველა მათგანი პროფესიონალურად, პასუხისმგებლობით უდგებოდა თავის საქმეს. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. უფლის მადლიერი ვარ, რომ ასეთი ბედი მარგუნა და ამ ბუმბერაზ ადამიანებს შემახვედრა.

შშობლები — სოფიკო ჭიაურელი და გიორგი შენგელაია სწორედ ისეთები იყვნენ, როგორიც უნდა იყოს შვილების მოყვარული ყველა დედ-მამა. მათგან არც სიტბო და სიყვარული მაკლდა და არც მზრუნველობა. ამაში მხოლოდ მატერიალურ მხარეს კი არ ვგულისხმობ, არამედ სულიერსაც, მათ შორის, განათლებასაც და შემეცნებასაც. ისინი თან შშობლებიც იყვნენ, თან საუკეთესო მეგობრებიც, რომლებიც ცდილობდნენ, ჩემთვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ. მასწავლებლდნენ: როგორ უნდა მეცხოვრა, რისი გაკეთება შეიძლება და რისი — არა, რა არის კარგი და რა — ცუდი...

ბევრ რამეს მაზიარეს, წიგნებიდან, სპორტიდან დაწყებული, ცხოვრების წესით დამთავრებული. შეიძლება ყველაფერი ვერ გასწავლონ, მაგრამ, როცა შშობელი

კარგი გყავს, მათ ქცევებს თავად აკვირდები და მერე ითვისებ. ნამდვილად გამიმართლა, რომ ასეთი დედ-მამა, ბებია-ბაბუები მყავდა, რადგან მათი საქციელით, შემოქმედებით, გაკეთებული საქმეებით ცხოვრებაში ბევრი რამ ვისწავლე.

დედის „ანდერძი“

დედა არის ის ადამიანი, რომელიც შეილს სიცოცხლეს დაუფიქრებლად აჩუქებს. სანამ დედა ცოცხალი გყავს, ის ყოველთვის ბედნიერებას განიჭებს და ბავშვობას გინარჩუნებს. ხშირად მახსენდება მისი სურნელი და ღიმილი. დღე არ გავა ისე, სიზმარში რომ არ ვნახო. სოფიკო ძალიან დაკავებული იყო, როგორც თეატრში, ისე კინოში, მაგრამ მე და ჩემს ძმას — ალექსანდრეს ეს არასდროს გვიგრძნობია. დედა ჩვენს — შვილების გარეშე არსად დადიოდა, გადაღებებზე, გასტროლებზე სულ თან დაყვავდით. ფაქტობრივად, კულინებსა და კინოსტუდიაში გავიზარდეთ. ჩვენი „ზედამხედველები“ იყვნენ გრიშორები, გამნათებლები, შოფრები, კოსტიუმერები. ზემოთაც ვახსენე, რომ სოფიკო ძალიან მეგობრული იყო. მკაცრი დედა არ ყოფილა. მისი გაბრაზება გაბუტვით გამოიხატებოდა — რამდენიმე დღე ხმას არ გვცემდა. იგი ძალიან კეთილშობილი ადამიანი იყო. ხალხს ის ძალიან უყვარდა, რადგან დიდი არტისტიზმის უკან, მის პიროვნებას ყოველთვის გრძობდნენ.

როცა დედა ავად გახდა, ეს პერიოდი ჩემთვის საკმაოდ რთული გამოდგა. თვითონ ძალიან მხნედ გამოიყურებოდა, ამობდა, მოვე-

რევი ამ დაავადებასო. რთულია, როცა გრძობ, რომ დედას კარგავ. დედისგან ასეთი დარიგება მივიღე: ყოველი დღისთვის მადლიერი იყავი ღვთის, რომ მეორე დღე გაგიტენაო. ასევე მასწავლა, რომ საკუთარი თავი სხვაზე წინ არასდროს დაგაყენო, ვიყო თავმდაბალი მიუხედავად იმისა, რა სიმადლესაც უნდა მივადწიო, დრო არ დავკარგო და ის იმისთვის გამოვიყენო, რომ საკუთარი თავის რეალიზაცია მოვახდინო. ხანმოკლეა სიცოცხლე და დროს ნუ კარგავო, — ასე მეუბნებოდა. არ ვიცი, ამ ყველაფერს როგორ ვასრულებ, მაგრამ ერთს კი ნამდვილად ვაკეთებ: ყოველ დღით უფალს მადლობას ვწირავ იმისთვის, რაც მაქვს.

დედა გულში მყავს

დედა რომ გარდაიცვალა, მის სახელზე აიენის წინ, სადაც უმეტეს დროს ვატარებდით, ბროწეულის ხე დავრგე. ამ ხესთან ხშირად მივდივარ და სოფიკოს იქ ველაპარაკები ხოლმე. დედა სულ მახსოვს და სანამ ჩემი გული ფეთქავს, ყოველთვის მემახსოვრება. ყოველი მისი გახსენება ჩემთვის ცრემლია. სოფიკოს არავითარი ნივთი თან არ დამაქვს, დედა გულში მყავს.

პარლო — ბიულისთვის შექმნილი როლი

რაც შეეხება სოფიკოს გამორჩეულ როლებს, მე განსაკუთრებით ვარდო მიყვარს, რადგან მის ხასიათს ძალიან ჰგავს. აქ დედა არ თამაშობს. მიუხიკლ „ვერის უბნის მელოდიებში“ ვარდოს როლი მამამ — გიორგი შენგელაიამ სპეციალურად სოფიკოსთვის შექმნა. ასევე ძალიან მიყვარს დედას მიერ შესრულებული ფუფალას როლი ფილმიდან „ნატურის ხე“. თეატრს რაც შეეხება, გამორჩეულად მიყვარს როლი, რომელიც სპექტაკლში — „ხეები ზეზუელად კედლებთან“ შეასრულა. აღარაფერს ვამბობ მის ცნობილ კინტაურზე სპექტაკლიდან „ხანუმა“. სოფიკოს ბევრი სახასიათო როლი აქვს შესრულებული, მაგრამ ჩემთვის ეს როლებია გამორჩეული.

დედ-მამაზე არანაკლები სიყვარული მაგრძობინებს ბებია და ბაბუამ. სამწუხაროდ, ჩემს მეორე ბებიას — ნატო ვაჩნაძეს ვერ მოვესწარი. იგი რომ დაიღუპა, მამა მამინ თხოთმეტი წლის იყო. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერც პაპას — ნიკოლოზ შენგელაიას მოვესწარი. იგი ძალიან ახალგაზრდა — 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. მამა — გიორგი შენგელაია, მამინ ხუთი წლი-

საც კი არ იყო. პაპა, ვიდრე რეჟისორი გახდებოდა, ლექსებს წერდა. მასთან მეგობრობდნენ: გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, ლეო ქიაჩელი... პაპაჩემი — ნიკოლოზ შენგელაია საოცარი ადამიანი იყო. მას ნადირობა, ტყეში სიარული უყვარდა, ასევე, თევზაობა კიდევ. სხვათა შორის, თუმეში, ეზოში თევზსაშენიც გვექონდა. რაც შეეხება ვერიკო ანჯაფარიძეს, მასთან უამრავი მოგონება მაკავშირებს. იგი ძალიან მზრუნველი, ღრმა ადამიანი იყო. ბევრი, ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარდა. დედაც კი არასდროს შეუქია მისი როლების კარგად შესრულებისთვის. ერთხელ „წამოსცდა“ რომელიღაც როლზე, კარგი იყო.

სიყვარულზე დაუფიქრებელი სახლი

პაპაჩემი — მიხეილ ჭიაურელი, პირიქით, ზედმეტად მხიარული, საოცარი იუმორის მქონე ადამიანი იყო. კარგადაც მღეროდა, ცეკვავდა. პაპა ცოცხალი რომ იყო, სახ-

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია დედამ განაგრძო — უცხოელი თუ ქართველი გამორჩეული ხელოვანები, პოლიტიკოსები, ყველა ჩვენს ოჯახს სტუმრობდა. არ წყდებოდა სიმღერა, ცეკვა, პოეზიის საღამოები, რაც ცნობილი პოეტის, იოსებ გრიშაშვილის თაოსნობით იმართებოდა. მე ეს პერიოდი და თაობა ნაკლებად მახსოვს, რადგან პატარა ვიყავი. ფოტოალბომებს რომ ვათვალიერებ, ვრწმუნდები, მართლაც საოცარი თაობა იყო. ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი სწორედ ამ ადამიანებმა შეასრულეს: მამამ, დედამ, პაპამ, ბებიამ, მეგობრებმა. ადამიანი, რომელიც ციყვარს, ვინც პიროვნებად მიგაჩნია, პატივს სცემ, ვის ზნეობასა და გულწრფელობასაც ხედავ, შენზე ყველა მათგანი ახდენს გავლენას.

„ერთი კასისთვის“ გადაღებული ფილმი

მამას გადაღებული ფილმიდან განსაკუთრებულად „ფიროს-



ლში ნამდვილი დღესასწაულები იმართებოდა. ჩვენი სახლის კარი საერთოდ არ იკეტებოდა — მთელი საქართველოდან, უცხოეთიდან სტუმრები ჩვენთან იკრიბებოდნენ. სხვათა შორის, ეს სახლი იმ ადგილას აშენდა, სადაც ვერიკომ მის მთავარ სიყვარულს — მიხეილ ჭიაურელს აკოცა. ამ სახლს საფუძვლად სიყვარული უდევს. პაპა არაჩვეულებრივი თამადაც იყო. ამერიკიდან რუზველტის შვილიც გვსტუმრობდა. ერთხელ, დილით მოულოდნელად რაღაც ხმამ გამაღვიძა. მისაღებ ოთახში გამოვედი და ვიღაც მელოტი კაცი როიალზე უკრავდა. საშინლად გავბრაზდი. მერე გავიგე, თურმე ეს მელოტი კაცი სვიატოსლავ რიხტერი ყოფილა. პაპამ, მიხეილ ჭიაურელმა დიდი ეპოქა შექმნა. იგი ქვეყნის წამყვანი რეჟისორი იყო.

მანი“ მიყვარს, რადგან გენიალური ფილმა. როგორც ბუმბერაზი რეჟისორები ამბობდნენ, ეს უფრო დიდი რამ არის, ვიდრე ფილმი. ფარაჯანოვმა მამას უთხრა: „მე „საიათნოვა“ ათი კაციისთვის გადავიღე და შენ როგორ მოახერხე ერთი კაციისთვის გადაღებაო“. მამამ „ფიროსმანში“ დიდი განცდა ჩადო. საერთოდ, გიორგი შემოქმედებაში ძალიან გულწრფელი იყო, რაც „ალავერდობაშიც“ კარგად ჩანს. მის მიერ გადაღებული ყველა ფანრის ფილმი, იქნება ეს მიუზიკლი თუ სხვა, ყველა შედეგია და მასწავლებელს დღემდე უყვარს, რადგან მათში დიდი გულწრფელობა და ნიჭია ჩადებული.

თამარ შველიძე
(დასასრული
შემდგომ ნომერში)





ყველაფრისგან თავისუფლება აღაშიანის თანაგღაპი წყევლა

დღევანდელი მსოფლიო დაპირისპირების პირობებში ცხოვრობს, ზოგან ეს დაპირისპირება ფარულია, ზოგან აშკარა, ზოგან კი დაუნდობელ საომარ მოქმედებებში გამოიხატება, სადაც ცეცხლითა და მახვილით ებრძვიან ერთმანეთს სამკვდროსა სიცოცხლედ შერკინებული მხარეები. როგორც ჩვენმა პატრიარქმა გავგაფრთხილა ამ სამიოდე წლის წინ, აპოკალიფსი კარზეა მომდგარი!

პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ისტორიკოსები სხვადასხვანაირად ხსნიან ამ მდგომარეობას. ზოგის აზრით, ამ დაპირისპირების მიზეზი ეკონომიკური ინტერესებია, ზოგის შეხედულებით - განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიები (დემოკრატიული, მონარქისტული, დიქტატორული, ნეომაღთუსიანები). ამის მიზეზად მსოფლიოში დემოგრაფიულ ბუმს ასახელებენ, აუტორიტეტული ფილოსოფოსები მიიჩნევენ, რომ ეს ცივილიზაციათა შეჯახებაა. შესაძლებელია, არსებული ვითარება ნაწილობრივ ამ შეხედულებათა მემკვიდრეობადაც აიხსნას, მაგრამ გლობალურად და ყოველსომცველი მიზეზის ძიებაში, ყველა ეს მიდგომა ფრიად ნაკლოვანია.

ამ პრობლემის გარკვევა სრულიად შესაძლებელია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე, რომელშიც აქტიურად არის ჩართული არა ორი ქვეყანა, არამედ თითქმის (?) მთელი ევროპა, აშშ და აზიისა და ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფოც.

ამერიკის ადმინისტრაცია და ევროპის ქვეყნების ლიდერები ამ დაპირისპირებას დემოკრატიისათვის უკრაინის ბრძოლას უწოდებდნენ და უკრაინისთვის თავიანთ დახმარებას დემოკრატიისადმი „უსაზღვრო თავდადებით“ ხსნიან. რუსები მიიჩნევენ, რომ დასავლეთის მიზანი ნატოს გაფართოება, რუსეთის საზღვარებთან ნატოს რაკეტების განლაგება და ყოფილი ვეშაპი კოლონიზატორი ქვეყნების მიერ უკრაინის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდებაა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად აქცია დასავლეთმა ეთნიკური რუსები, ანუ უკრაინელები ანტირუსებად.

სხვა ევროპელი თუ ამერიკელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ევროპული კულტურა და ფასეულობები, შეიძლება, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას შეეწიროს და დროზე უნდა დაიშალოს

ეს უზარმაზარი, მრავალეროვანი სახელმწიფო. არადა, რუსეთი არასოდეს შეჭრილა ევროპაში, ევროპული ქვეყნები კი არაერთგზის დასხმიან თავს რუსეთს და ქვეყანა იძულებული გამხდარა, თავდამსხმელთა არმიები მათივე დედაქალაქებში გაენადგურებინა.

ეს არც რელიგიური ომია, როგორც ზოგიერთები აცხადებენ, არც კულტურათა თუ ცივილიზაციათა ომი! რუსეთი, განა, ევროპა არ არის?

ევროპელებისა და აშშ-კანადის მოსახლეობის ე.წ. განვითარებული ნაწილისათვის ღმერთი კარგა ხანია, „გარდაიცვალა“, ნიციშეს ფილოსოფია ირწმუნეს და იმითომ. ამას მიხვდა ოსვალდ შპენგლერი და ამითომ დაწერა ერთობ გახმაურებული წიგნი „ევროპის დაისი“. რა იგულისხმა შპენგლერმა „შვის ჩასვენებაში“? რა და, განათლებისა და კულტურის დეგრადაცია!

შპენგლერის აქ ნახსენები წიგნი 1920 წელს გამოცა და, ბუნებრივია, მასში მოცემული დასკვნები იმავე, ან მომდევნო წელს ვერ განხორციელდებოდა. ასი წლის შემდეგ, ანუ დღეს, სრულიად აშკარაა ის, რაც იმ ცხონებული შპენგლერმა იწინასწარმეტყველა. სხვათა შორის, არანაკლები აპოკალიფსი იწინასწარმეტყველა ჟან პოლ სარტრმა, „ადამიანი თავისუფლებით არის დაწყვეტილი“.

დეტალებს რომ არ გამოვეკიდო, შევეცდები, სქემატურად, მოკლედ, მაგრამ, მარტივად ავხსნა, რაც დღეს ხდება.

1. დღეს გააფრთხილები ბრძოლა მიმდინარეობს ბოროტებასა და სიკეთეს შორის. ამ ბრძოლაში დასაწყისში ბოროტებას ჰქონდა

უპირატესობა, რადგან ბოროტება ეშმაკის მიმდევართა თვისებაა, მისი ამოცანა არა შემოქმედება, არამედ ნგრევაა, ნგრევა კი ადვილია და ნგრევით „გამარჯვების“ მიღწევა იოლია. ამითომ არის, რომ რევოლუციები სწორედ სატანისტური მოწოდებების გამო ხდებოდა მუდამ. ვიღებთ სიკვდილს, განადგურებას, ზნეობრივ და გონებრივ დეგრადაციას!

2. ეს თუ ასეა და ასე მარტივია სატანის ამოცანისა და მიზნის ახსნა, რატომ ვერ ხვდებიან ადამიანები ამას და მასობრივად რატომ მისდევენ სატანისტურ ლოზუნგებს?

ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი ძირითადი, მეორე კი ძირითადი მიზეზის შედეგი, რომელიც გარკვეული ქცევის მიზეზად იქცევა.

პირველი მიზეზი ის არის, რომ, როდესაც ცივი უფალს უარყოფს და ღვთის წინააღმდეგ ბრძოლით ღმერთს განასახიერებს, იგი ისჯება. უფლისთვის ყველა ადამიანი ღვთისშვილია, ამითომ ღმერთი თავის შვილს სიცოცხლეს ვერ წაართმევს. იგი განდგომილ შვილს ართმევს იმას, რითაც იგი ცხოველისგან განსხვავდება - ეს არის შემეცნების უნარი! ამ უნარის გარეშე იგი აღაზრდით განსხვავდება ცხოველისაგან და მასზე უარესია. უარესია იმითომ, რომ ცხოველის ცხოვრების წესი და შინაარსი წინასწარ არის გენეტიკურად განსაზღვრული და ჯიშის თავისებურებებით განპირობებული. ღვთით ბოძებული ნიჭის წართმევის შემდეგ ადამიანი ორიენტაციადაკარგულია და დასაღუპავად არის განწირული, ანუ იგი თვითლიკვიდაციისაკენ მიდის.

აქედან გამომდინარე, ადამი-

ანი კარგავს ავისა და კარგის გარჩევის უნარს, ნებისმიერი დილემის წინაშე არჩევანს ავზე აკეთებს და ზურგს აქცევს კარგს!

ამითომ ირჩევენ ღმერთგამწყვრალი ადამიანები სატანისტურ გზებსა და სატანისტურ ლოზუნგებს მიჰყვებიან!

3. ყველაზე დემაგოგიური სატანისტური ლოზუნგია „თავისუფლება“.

ამ ლოზუნგით ზორციელდებოდა ყველა რევოლუცია დედამიწაზე, ეს ლოზუნგი აღაფრთოვანებდა არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მასებსაც. სატანა ღვთის წინააღმდეგ ადამიანების ამბოხსაც ამ ლოზუნგით წარმართავდა.

რატომ არის „თავისუფლება“ ყველაზე დემაგოგიური ლოზუნგი? იმიტომ, რომ მასში კონკრეტულ შინაარსს არავინ დებს, თავისუფლება აბსტრაქტულ მოვლენად აქვთ წარმოდგენილი, ანუ ყოველგვარი შემზღუდავი, დამაბრკოლებელი რამ, რაც სუბიექტის სურვილის შესრულებას უდგას წინ, მოშლილია. ასეთი დამაბრკოლებელი ძალაა ღმერთი.

როგორც დოსტოევსკიმ თქვა, „ღმერთი თუ უარყავი, მაშინ ყველაფერი ნებადართულია“. ამ მთავარი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ წვრილ-წვრილი დაბრკოლებების უგულვებლყოფა (არაფრად მიიჩნევა), არანაირ სიმწელებს აღარ წარმოადგენს. ამრიგად, პიროვნება თავისუფალია სირცხვილის გრძობისაგან. ზნეობრივი შეზღუდვები ღმერთის უარყოფასთან ერთად ქრება.

ყველაფრისაგან თავისუფლება ადამიანის თანამდევნი წყევლაა. ჟან-პოლ სარტრმა ადამიანს „თავისუფლებით დაწყვეტილი“ ამითომ უწოდა!

4. ახლა ვნახოთ, როგორ აისახა დღევანდელსავე ის ეზოთერიული ვარაუდები, რაც ზემოთ აღვნიშნე.

ყველამ იცით, რასაც წარმოადგენდა ცივილიზებულ სამყაროში მე-19 საუკუნის გერმანია: საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ტექნიკის, ფილოსოფიის, ხელოვნების, ლიტერატურის, სოციალოგიის, ფსიქოლოგიის დარგებში გერმანია ლიდერი იყო მაშინდელ მსოფლიოში! საფრანგეთი? პარიზი მსოფლიო კულტურის ცენტრად იყო მიჩნეული! საერთოდ ევროპა კი განათლების უპირველეს კერად მიაჩნდათ!

ახლა?

5. „უგანათლებლესმა“ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეექვსეკლასელის დონეზე არ იცის, რამდენი გრადუსია წრეხაზის სიგრძე, ხოლო მისი სოფლის მეურნეობის მინისტრს წარმოადგენს არ აქვს, რამდენი კვადრატული მეტრია ჰექტარი.

ამას მე არ ვიგონებ: მთელი მსოფლიო პრესა მოიარა ამ უვიციობის მაგალითებმა.

რაც შეეხება კულტურით ნაქებ საფრანგეთს, ახლა საფრანგეთის ფიქვენებელურ სასტუმროებში ბაღლინჯოები ბატონობენ, ხოლო პოლიტიკაში ... დე გოლის, პომპიდუს, ჟაკ შირაკის, მიტერანის საგარეოში დღეს ზის მაკრონი, რომელსაც 27 წლით უფროსი ცოლი ჰყავს. მისი პრემიერ-მინისტრი კი გაცხადებული პომოსექსუალია, ასეთივეა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც.

აშშ-ისა და მისი სატელიტების ლიდერები რომ საღი აზრისაგან უკვე მთლად დაცლილები არიან, ამასვე ყველაზე კომპეტენტურად მათივე თანამოქალაქე პოლიტიკოსები ლაპარაკობენ!

მოდით, გვერდზე გადავდოთ ჩვენი „ცნობილი“ ეროვნული მიკერძოებულობა და შეხედეთ ქართულ პოლიტიკურ ოპოზიციას - ნაცებს, გირჩებს (ორივე გირჩს), პარტია ალექო ელისაშვილს, დაღმამშენებელსა თუ რაღაც ამის მსგავსს, „ევროპულ საქართველოს“, „ლელოს“ გახარიასა და გვარამიას რაღაც უაზრო ჯგუფებს და მიხვდებით, რომ ამათ არა მარტო საშობლო არ აქვთ, არამედ არც იციან, რას ნიშნავს საშობლო, საიდან იწყება და როგორ გრძელდება წარსულში, აწმყოსა და მომავალში. რატომ, იცით? სამ ათეულ წელზე მეტია, ქართულ საგანმანათლებლო სისტემა ქართველებს კი არ ზრდის, მსოფლიო მოქალაქეების აღზრდა განუზრახავს! სატანისტური მიზანია ეს!

ადამიანის სოციალური განვითარება მიკუთვნებული



სვასტიკა - ყველა ღრიოს იღუპალი კოსიური ნიშანი

(დასასრული, დასაწყისი „სვ“ N23-24)

„ბორჯღაღის“, ყველაზე საკრალური ლოგოგრამის შესატყვისია მეგრული (კოლხური) „ბარჩხალი“ (თვალისმომჭრელი) ნათება, ელვარება, კაშკაში. დღევანდელ სალაპარაკო მეგრულში „ბარჩხალი“ — იტყვიან მცხუნვარე, მოკაშკაშე, სხივებდაფენილ შხეზე... მნათობებზე...

ზოგი მკვლევარი „ბორჯღაღის“ სხვა ინტერპრეტაციას იძლევა, თუმცა, დიდად არაფერი იცვლება, პირიქით, მეტ დატვირთვას იღებს. „ბორჯ“ მეგრულად „დრო“ არის, ჟამი, „ღაღ(ა)“ — წაღება, სვლა, ამავდროულად — მდინარე.

სხვა ვერსიით, „ბორჯი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „ფეხს“, „საძირკველს“, აქედან არის ნაწარმოები მისი გვიანდელი ფორმა „ბურჯი“. სიტყვა „ღაღ“ ნიშნავს „წმინდა (ჯანსაღ) ნაყოფს“, „მოსავალს“, „გამოსავალს“, „ბარაქას“...

„ბორჯღაღი“ ჰქვია ასევე, ირმის რქასა და ხის ისეთ ტოტს, რომელიც დატოტვილია შედარებით წვრილი ტოტებით (აქედან ნაწარმოები „გაბარჯღული“, რომელიც ფესვებგანტოტვილზეც ითქმის და მყარად მდგომ ადამიანზეც რაჭულ დიალექტზე). ირმის რქა ოდითგანვე მიიჩნეოდა სიცოცხლის ხის სიმბოლოდ, ხოლო მისი ცვლა ქართულ მითოლოგიაში უკვდავების მინიშნება იყო.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული იყო 7-ქიმიანი ბორჯღაღა, კოსმოსის სიმბოლური განსახიერება, ქრისტიანობამდელ ქართულ პანთეონში არსებული შვიდი წმინდა მნათობის ხატოვანი ნიშნები. კონცენტრაციის ცენტრი, „ბურჯი“, საიდანაც თითოეული „ღაღა“ (მნათობი) გამოდინება, ღმერთის საგანეს სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედად (მთოვარე — ყამარ — მთვარე; ჯუმა — ერმი, ოტარიდი — მერკური; მთიები — ცისკრის ვარსკვლავი — ვენერა, აფროდიტე, იშტარი; მარი-



ქართული ნაპოვნი ქოთანი კვ. II ათასწლეულის დას.

ხი — არიან, თახა — მარსი; დია — მუშთარი — იუპიტერი; ზუალი — სატურნი; პელიო — არდი — შხე).

ყველაზე თამამი ვერსიით, „ბირისის რუკა“ იმ გამჭრალი (თუ მიმალული?) ცივილიზაციის ცოდნის შედეგია, რომელიც ფლობდა მაღალ ტექნოლოგიებს, ფრენდა ცაშიც და კიდეც, ვინ იცის, რა საშუალებით, მაგრამ უსწრაფესად გადაადგილებოდა სამყაროში. ამ უცნობი ცივილიზაციის კვალი სამყაროს სხვადასხვა ნაწილში მრავლად გვხვდება, მაგრამ ჯერ მანინც რომ ვერ სწვდება ადამიანის გონი რა და როგორ იყო? იქნებ, ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ „ფუთის“ დაკარგვიდან (ქურდობიდან) დაწყებული, დღემდე ჩვენი (კოლხეთის) ისტორიის გაყალბებამ, შესაბამისად, მსოფლიო ისტორია გააყალბა და სრულიად არივ-დარია „გორგალი“, რომლიდანაც წვერი უნდა გამოიღო მის გასასხნელად?

ორიოდე სიტყვა წაგრძელებულ თავის ქალებზეც ვთქვათ — „გრძელთავიანობის“ ტრადიცია სხვაგანაც იყო დედამიწაზე. ამდენად, შეიძლება ყოფილიყო ანტიარქტიდაზეც, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ამ ტრადიციის შინაარსი? აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ხელოვნურად წაგრძელების შემთხვევაში, მხოლოდ თავის ქალის ფორმა იცვლება, შიგთავსის მოცულობა უცვლელი რჩება. და მანინც, რატომ ცდილობდნენ თავის ფორმის შეცვლას? ახლა გასა-

გებია, ტრადიციად გადმოჰყვათ, მაგრამ თავდაპირველად? იქნებ, ვინმეს, მათზე ზეადმატებულს, ვთქვათ, „ღმერთებს“ ჰბაძავდნენ, რომლებიც „საიდანდაც“ მოვიდნენ და „ძალიან ბევრი“ იცოდნენ ყველაფრის შესახებ? უმთავრესი კი ის არის, რომ აღმოჩენილი უძველესი წაგრძელებული თავის ქალები დაახლოებით სამჯერ დიდია და ამოვსებულია შიგთავსით, ანუ ხელოვნურად წაგრძელება გამოირიცხება...

ამერიკელი უფოლოგები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა“ ძველი შუმერებისგან, რომლებიც ჩვ. წ. აღ-მდე 5500 წლის წინათ ცხოვრობდნენ; რომ მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმომომის შესახებ და ისინი ყველაფერზე ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ; რომ შუმერთა ნახატებში ჩანს ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელთა ზომადლია და სწორედ ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერს; სწორედ მათი ასო-ნახატებისგან ირკვევა ის „ამბავი“, რომ შუმერებმა „აუნაკის“, „ანუ ნაკის“ — „ციდან დაშვებულ(ებ)ისგან“ ისწავლეს ყველაფერი და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს; რომ სწორედ ქალაქ ერედუში დაეშვა ციდან პირველი სამეფო ხელისუფლება...

მედავით არგუმენტირებულად და დავიჯერებ, რომ მსოფლიო ცივილიზაცია კოლხეთიდან არ იშვა!

სვასტიკა ქართულ თიხის ქოთანზე კვ. II ათასწლეული.



სვასტიკა ქართულ თიხის ქოთანზე კვ. II ათასწლეული.

ზურაბ ცუცქერიძე 555 56-75-37

გრძობის ჩამოყალიბებით იწყება; ბავშვი თავს მიაკუთვნებს ჯერ დედას (ან მას, ვინც მას ზრდის), მერე და-ძმებსა და სხვა შინაურებს, მერე მეზობლებს, უბანს, სოფელს ან ქალაქს და ბოლოს — თავის ქვეყანას. თავს მიაკუთვნებს და მიიკუთვნებს ყოველივე ამას. ასე იზრდება პატრიოტი და იგი სიმპათიას და პატივისცემას გრძობს სხვა ქვეყნის პატრიოტების მიმართაც. მსოფლიო მოქალაქის ნეოლიბერალური სახე სრული უზნეობა და ეროვნული ნიპილიზმია, რომელიც უღმერთობის ემართებათ მხოლოდ. არაფრის სიყვარული არ აქვთ მათ, მხოლოდ მამონა უყვართ და ემონებიან მას, კონკრეტულად, მის მიწიერ გამოხატულებას — ფულს. ნახეთ, ამ



ღმერთგამწყრალ ოპოზიციას და მის სატელიტებს სადი აზრი და გონიერება თუ უტყობათ რაიმეში, სირცხვილის გრძობაზე, ღირსებაზე, თავმომყვარეობასა და მოყვანისადმი თანაგანცდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია!

უზრდელი, უკულტურო, უხეში, დებოშირი, ხულიგანი, მოჩხუბარი, ყოვლის მკადრებული კაცის მეტი რა გვინახავს ახლაც და წარსულშიც, მაგრამ ქალი?

ქალი ყოველთვის იყო კდემამოსილების განსახიერება და ამიტომ იმსახურებდა საყოველთაო პატივისცემას ჩვენში. სასიკვდილოდ შერკინებულ კაცებს ქალის მანდილი აშოშმინებდა მხოლოდ. უღმერთობის ცოდვამ ყველა გადაიყვანა ჭკუიდან და მათ შორის, ქალებიც.

მთელი ბავშვობა, არდადეგები მთაში მაქვს გატარებული, ჩემს დედულეთში. უღრანი ტყეებით გარშემორტყმულ სოფელში ნადრის გამოჩენა იშვიათი არ იყო. ისიც მომხდარა, რომ ბოსელთან დაბმული საქონელი დაუგლეჯია მგელს სადამონხანს, ღამით კი დათვებს შუაგულ

სოფელში ყანა გაუნადგურებით. ჩემი სვანი ბაბუაც და ბიძებიც მონადირეები იყვნენ და ნადრის შიში არ მქონია, ალქაჯებისა მეშინოდა მხოლოდ. ალქაჯები ხევში, წყლისპირას არიან ხოლმე, ღამით და მარტო არსად გახვიდეთ, მეუბნებოდნენ. ამიტომ, წყაროზეც ვერ წავიდოდი შებინდებულზე, ბიძაშვილებს თუ არ ვიახლებდი თან. მერე და მერე, პიონერობამ და კომკავშირელობამ ალქაჯობის შიში დამავიწყა, მითიურ ლეგენდებზე ჩავთვალე და ახლად მივხვდი, რომ ეს ლეგენდა არ ყოფილა. ხევში წყლისპირას კი არა, აგერ, საკანონმდებლო ორგანოში ყოფილან თურმე მოკალათებული.

ღმერთის უარყოფელი და ღვთისმგობი, შეძენების უნარ-

დაკარგული ადამიანი ყველაფრად შეიძლება, იქცეს: ეშმაკად, მაიმუნად, ქვეწარმავლად, მგლად და, ცხადია, ალქაჯადაც.

ჩვენი პარლამენტის ოპოზიციონერი აქტივისტი ქალები, ხმას რომ არ იღებდნენ, სამონი არიან საცქერლად, მაგრამ სატანა არ ასვენებთ: მიკროფონს ჩაიდებენ ხელში და კვიან, კაცებსაც ემუქრებიან და ქალებსაც, ბავშვებსაც და მოზუცებსაც. მათ შემხედვარეს, წამსვე დაგავიწყდება, რომ ხმის ამოღებამდე, ისინიც ღამაში ქალები იყვნენ და ქალის ჯიში და ჯილაგი შეტყულებდა. ამ ღმერთგამწყრალი ალქაჯი „პოლიტიკოსების“ წივილ-კვილს უბედურება რომ მოაქვს ქვეყნისათვის, ეს აშკარაა!

არჩევანის წინაშე დგას დღევანდელი მსოფლიო, ან ღმერთთან, ან - სატანასთან, ან ანგელოზებთან, ან - ალქაჯებთან!

აირჩიეთ, სად გსურთ ყოფნა! არჩევანის უფლება ღმერთმა მოგანიჭათ. შედეგებზე თქვენ თვითონ აგებთ პასუხს.

დასავლეთს სურს, საქართველოში ჩვენი კი არა, მისი ინტერესი გავაზაროთ



გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პოლიტოლოგი თამარ შვიციანი:

— ქალბატონო თამარ, ამ დღეებში დიდ ბრიტანეთში კონსერვატიული პარტიის 14-წლიანი მმართველობა დასრულდა.

— დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა ვადამდელმა არჩევნებმა დაგვანახა, რომ კონსერვატიული პარტია მოსახლეობისთვის მისაღები აღარ არის. ახალი პრემიერის სლოგანია: **საჭიროა ხალხთან დაბრუნება, მისი პრობლემების მოხმანა**. ინდოელი რომი სუნაკი გაერთიანებულ სამეფოში აფილირებული, ასიმილირებული გახლდათ, მაგრამ მისი არჩევა უპრეცედენტო იყო. დიდ ბრიტანეთში ბოლო დროს პრემიერ-მინისტრები ხშირად იცვლებოდნენ, რაც კრიზისის მაჩვენებელი იყო. ლიზ ტრასი თანამდებობიდან 44 დღეში გადადგა, რაც ასევე უპრეცედენტო მოვლენა იყო. ის არც მაღალი ინტელექტით გამოირჩეოდა. ამჯერად ლეიბორისტები ირწმუნებიან, რომ ხალხს მოუსმენენ და მათი პრობლემების მოგვარებას შეეცადებიან. პარლამენტში სოლიდური რაოდენობით გავიდნენ ლიბერალ-დემოკრატებიც. რაც გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო დროს ხდებოდა, გარკვეულწილად, კრიზისზე მიუთითებდა. იგივე, ბორის ჯონსონის საკმაოდ არაორდინარული, ექსცენტრიული ადამიანი იყო. არადა, როცა გაერთიანებულ სამეფოზე ვლაპარაკობთ, თვალწინ ტრადიციული პოლიტიკური ელიტა წარმოგვიდგება. ვნახოთ, რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი პრემიერი კირსტარმერი. სხვათა შორის, კრიტიკის ობიექტი გახდა პრემიერი ტონი ბლერიც, რომელმაც პარტიას „ახალი ლეიბორისტები“ უწოდა. იგი ერაყის კამპანიაში ამერიკელებს გვერდით დაუდგა. მოგვიანებით კი ბოლიში მოიხადა იმისთვის,

რომ სამიშ ქიმიურ იარაღზე ლაპარაკობდა, რის გამოც ამერიკელები ერაყში შევიდნენ. საინტერესო იქნება სტარმერის დამოკიდებულება რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ. ასევე, თუ რა პოზიციას დაიჭერს იგი რუსეთთან მიმართებით.

ვადამდელი არჩევნები ჩატარდა საფრანგეთშიც, სადაც ასევე კრიზისული ვითარებაა. ქვეყნის პრეზიდენტს მაღალი ლეგიტიმაციისთვის საჭირო რეიტინგი არ გააჩნია. მაკრონის პოლიტიკა მოსახლეობის დიდ ნაწილში პოპულარობით არ სარგებლობს, განსაკუთრებით მიგრანტების მიმართ დამოკიდებულება, გენდერული პოლიტიკა და სხვ.

— ევროკავშირში გამართული არჩევნების შემდეგ მოლოდინები რამდენად მართლებია?

— ტენდენცია გამოკვეთილია — მემარჯვენე, ტრადიციული ფასეულობების მატარებელი დეპუტატების რიცხვი იზრდება. საინტერესოა, თვად ევროპის ქვეყნებში: საფრანგეთში, ნიდერლანდებში, გერმანიაში ხალხის განწყობებიც. დღის წესრიგი, რასაც დღევანდელი ისტებლიშმენტი ადამიანებს სთავაზობს, პოპულარული არ არის, რაც არჩევნების შედეგებზეც ხაზდგის. არჩევნებში ხმების დიდი ნაწილი ცენტრისტებმაც მოიპოვეს, რომელთა ნაწილი ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნებას ემხრობა. კი ბატონო, „სახალხო პარტია“ ხმების დიდი რაოდენობა კვლავ მოიპოვა, მაგრამ ცვლილებები მაინც იქნება.

— ბაიდენი-ტრამპის დებატების მერე დემოკრატები ახალ კანდიდატს ეძებენ, თუმცა თვად პრეზიდენტი კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს.

— ბაიდენსა და ტრამპს შორის გამართულმა დებატებმა ნათლად დაგვანახა, რომ ამერიკა ღრმა კრიზისშია. ნუთუ, ამერიკის ელიტაში სხვა კანდიდატურა ვერ მოძებნა! საქმე ის არის, რომ ყველაფერს ის ელიტა წყვეტს, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატების უკან დგას და არა თვად პრეზიდენტი. შეიძლება უკვე გადაწყვეტილია, რომ ტრამპს არაკონკურენტუნარიანი მოწინააღმდეგე ჰყავდეს, რათა მან არჩევნებში უმტკივნეულოდ გაიმარჯვოს. მაგრამ თუ ასე არ არის და პრეზიდენტი კვლავ ბაიდენი გახდა, მაშინ ამერიკელებ-

ბის საქმე ცუდად იქნება. კრიზისიც უფრო გაღრმავდება.

ზოგადად, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი ყოველთვის მტკივნეულია. ამ მხრივ არც დღევანდელი დღეა გამონაკლისი. ჰეგემონ ამერიკას ახლა დადამავალი ციკლი აქვს. აქამდე ის კანონები და წესები მოქმედებდა, რაც დასავლეთმა დააფუძნა. ის ინსტიტუტები, წესები, ფასეულობები, რაც წინა სამყაროსთვის იყო დამახასიათებელი, აღარ მუშაობს. კრიზისული ვითარება ამიტომაც შეიქმნა.

— პრეზიდენტობის კანდიდატებმა ნატო-ს გაფართოების



საკითხზე ისაუბრეს. რა ბედი ელის ნატო-ს ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში?

— ტრამპი პრაგმატული პოლიტიკის მომხრეა. ის ბიზნესმენია და პოლიტიკას ბიზნესის თვლით უყურებს. ტრამპს მიაჩნია, რომ ნატო ამ ხნის განმავლობაში ევროპულ სახელმწიფოებს იცავს. ისინი ნატო-ს ქოლგის ქვეშ არიან, მაგრამ გადასახადს, საწვავსაც კი არ იხდიან. ევროპული სახელმწიფოები საყოველთაო კეთილდღეობით სარგებლობენ და იაფი რესურსებიც აქვთ. მაგრამ ახლა ნატოსაც და ევროპასაც საფრთხე ექმნებათ. მაკრონმა ტყუილად როდი თქვა: აუცილებელია, საკუთარი თავის დაცვა თვად შევძლოთ. ევროპული სამხედრო ძალების ფორმირების ინიციატივაც გაჩნდა.

როგორ დამთავრდება აშშ-ის არჩევნები, ამზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. შესაძლოა, გარკვეული ცვლილებების მომსრუტე გახდეთ. როგორც იქნება ნატო-ს ბედი, დემოკრატების მიერ მხარდაჭერილი საფინანსო რეჟიმი, რომლის წინააღმდეგაცაა ტრამპი, ეს არჩევნების შემდგომ გაირკვევა. თუ პრეზიდენტი ტრამპი გახდება, ძირეულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ, რა თქმა უნდა, თუ დასცალდა და ამერიკის კონგრესმა ამის საშუალება მისცა. ამერიკის არჩევნები გაველენას, რა თქმა უნდა, საქართველოზეც იქონიებს. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი არჩევანი უკვე გააკეთა — ეს არის სუვერენიტეტზე ორიენტირებული პოლიტიკა, რაც ძალიან კარგია.

— რამდენიმე დღის წინ პუტინისა და ორბანის შეხვედრა შედგა. თუმცა, შოლცმა აღნიშნა,

რომ ევროპულ საბჭოს საგარეო პოლიტიკაში შარლ მიშელი წარმოადგენს და ორბანი მოსკოვში, როგორც უნგრეთის პრემიერი, ისე იყო ჩასული...

— შემდგომი ექვსი თვის განმავლობაში, უნგრეთი ევროკავშირის მორიგე თავმჯდომარე სახელმწიფო ხდება და გარკვეული ბერკეტებიც ექნება. ორბანმა მოსკოვში ვიზიტის შესახებ განაცხადა, რომ მისი მიზანი მედიატორის როლის თამაში არ იყო. არ გამოვიცხავე, რომ ორბანის მოსკოვში ვიზიტი პუტინთან შეთანხმებულიც ყოფილიყო.

ვთანხმდებით, რომ უკრაინა პროქსი ქვეყანაა და ზელებსკი

დასრულდა საქართველოსთვის, მათი 9-წლიანი მმართველობა. სხვათა შორის, ამისთვის ნაცებს პასუხი უნდა მოეთხოვოთ. ივანიშვილმა თავის გამოსვლაში ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება და მჯერა, მათი დასჯის დრო მალე დადგება. ამიტომაც არიან ასე გამწვანებულნი, სასოწარკვეთილნი და ამასობაში ათას აბსურდულ აზრს აფრქვევენ.

— დასავლეთი მოგვიწოდებს, არჩევანი რუსეთსა და ევროპას შორის გავაკეთოთ...

— ჩემი აზრით, სხვა ალტერნატივა არ არსებობს — „ქართული ოცნება“ წინასწარი გამოკითხვებით ლიდერობს. ოპოზიციას ხელისუფ-

ლებაში მოსვლის შანსი არ აქვს. დასავლეთი ჩვენგან მოითხოვს, რომ არა ჩვენი ქვეყნის, არამედ მათი ინტერესები გავატაროთ. ამ პოზიციას დღევანდელ ხელსუფლება ეწინააღმდეგება და მკვეთრად აფიქსირებს, რომ ქვეყნისთვის ხელსაყრელ, ეროვნულ საფუძვლებზე დამყარებულ პოლიტიკას გაატარებს. ეს დასავლეთს არ მოსწონს. ნაცები უცხო ძალების მიერ იმართებიან და ეროვნულის არაფერი სცხიან. ამიტომ მათი მმართველობაში მოსვლა ხალხმა არ უნდა დაუშვას.

— დაშლილი ნაცები ისევ ერთიანდებიან...

— ჩემი აზრით, შესაგრებთა გადასაცვლებით ჯამი არ იცვლება. ამასვე კრილოვის იგავ-არაკი „კვარტეტი“ მახსენდება. ისინი ლუსტრირებული არიან. სამწუხაროდ, მათ შეიძლება ახალგაზრდების ქსნაში გამოყვანა, რომლებიც პასიონარულნი არიან და ნაკლებად უწყვეტ ანგარაშს იმას, თუ რით დამთავრდება ეს ყველაფერი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ძალა, რომელიც თავს პროდასავლურად ასალებს, სინამდვილეში, ანტიქართულ ძალას წარმოადგენს. ისინი ქვეყანას კეთილდღეობას ვერ მოუტანენ. საქართველომ უნდა ივაჭროს და ეროვნულ ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკა განახორციელოს. ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია.

— ბოლოს, როგორ შეაფასებთ ირანში გამართულ არჩევნებს?

— ირანში ნამყოფი ვარ და ჩემი აზრით, მისი გარედან შერყევა, დასავლეთი როგორც უნდა ეცადოს, შეუძლებელია იმიტომ, რომ იქ ყველაფერი ძალიან მკაცრად კონტროლდება.

თამარ შვიციანი





უახლოეს პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გიგანტური ცვლილებები მოსალოდნელია. მართალია, ექსპერტები ყოველივე ამას შემოდგომიდან პროგნოზირებდნენ, მაგრამ მოვლენების განვითარება უკვე ახლა, გაგანია ზაფხულში დაიწყო.

კვლავ აქტიურად განიხილება ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული დებატები — ყოფილ 45-ე პრეზიდენტს, დონალდ ტრამპსა და მოქმედ პრეზიდენტ ჯო ბაიდენს შორის. ორივე მათგანი თეთრი სახლის ოვალური (პრეზიდენტის) კაბინეტში მეორე ვადით შესვლას აპირებს. შეგახსენებთ, განვლილმა სატელევიზიო დებატებმა მსოფლიოს პოლიტიკოსებში შოკი გამოიწვია, რომელიც დღემდე გრძელდება. დისკუსიის შემდეგ, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წევრები უკვე დაიბნევიან მოუწოდებენ ჯო ბაიდენს, უარი თქვას საპრეზიდენტო არჩევნებში მეორედ მონაწილეობაზე.

თავად ჯო ბაიდენი დებატებში ცუდად გამოხატა დადებითობას აბრალებს. მისი თქმით, იენისში დამქანცველი ტურნე განახორციელა მსოფლიოში. ამით კვლავ გააოცა საზოგადოება, რადგან იენისის დასაწყისში საფრანგეთსა და იტალიაში იმყოფებოდა, ათი დღე საჯაროდ არ გამოჩენილა, საგულდაგულად ემზადებოდა დებატებისთვის. თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლისა და პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, კარენ ჟან-პიერის განცხადებით, ჯო ბაიდენი არ აპირებს, უარი თქვას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. „ჩვენ არ ვამბობთ, რომ დებატების შემდეგ კითხვები და კრტიკა უსამართლოა, ცუდი დაბე იყო. ჩვენ ყოველდღიურად ვაქვეყნებთ სამედიცინო დასკვნებს. ბაიდენს არ აწუხებს დემენცია, ალცჰეიმერის ან სხვა დაავადებები, არც რაიმე განსაკუთრებულ სამედიცინო პრეპარატებს იღებს“. თუმცა, აღიარებს, რომ მისი შენელებული მოქმედებები ასაკით არის გამოწვეული.

ამერიკული პრესა გასულ კვირას იუწყებოდა, რომ 25 დემოკრატი კონგრესმენი აპირებდა ბაიდენისთვის ოფიციალური განცხადების გაგზავნას, რათა მან უარი თქვას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. თუმცა, ერთ-ერთმა პირველმა ლიბერალურმა გააკეთა მიმართვა. კოლეგას დაეთანხმა ჯერედ გოლდენი, რომელმაც აღიარა, რომ ბაიდენი ნოემბრის არჩევნებში სასტიკად დამარცხდება. „ტრამპი

მაკრონის მინისტრები და ჩინოვნიკები სამსახურებს ეძებენ

გამარჯვებას, მაგრამ მე მას ხმას არ მივცემ“, — განაცხადა კონგრესმენმა. იქვე დაამატა, რომ ტრამპი „დემოკრატიის დასასრულად“ არ მიაჩნია და პრესას მოუწოდა, იგნორირება გაუწიოს და მინების პოლიტიკას.

ავტორიტეტულ გამოცემა „ვანდერბილტის პოსტში“ დაიბეჭდა დემოკრატების ოფიციალური სპონსორების წერილი, რომელსაც 168 ადამიანი აწერს ხელს. „პატივისცემით გთხოვთ, უარი თქვათ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე ქვეყნისა და დემოკრატიისთვის“, — ნათქვამია კოლექტიურ მიმართვაში.

მასაჩუსეტის შტატის გუბერნატორი მარკი უილიამსი მოუწოდებს ბაიდენს, იფიქროს არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმაზე. ანალიტიკოსი ჰენრი ოლსენი „ვანდერბილტის პოსტში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში აღნიშნავს, რომ დემოკრატების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბაიდენი უნდა წავიდეს, მაგრამ არ იციან, ვინ ჩანაცვლებს მას. თეთრი სახლიდან გავრცელებული ანონიმი ინფორმაციის ცნობით, ბაიდენი და მისი შტაბი არ აპირებენ, უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე. უფრო მეტიც, შესაძლოა, უკვე 21 ივლისს, ჯო ბაიდენმა ოფიციალურად წარადგინოს საკუთარი თავი საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად. ფაქტია, რომ აშშ-ის საშინაო პოლიტიკა ბუნდოვანია და როდის გამოიდარებს, უცნობია. მით უფრო, როდესაც ქვეყნის მმართველის ჯანმრთელობა სეზონურად ამფოთებს მის თანაპარტიელებს. თავად პრეზიდენტი ჯო ბაიდენს ცდილობს თანამდებობაზე დარჩენას, მიუხედავად მრავალი მოწოდების, უარი თქვას მეორე ვადით არჩევნებში მონაწილეობაზე.

გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოვლენა ბრიტანეთში განვითარდა, სადაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. გამართლდა ანალიტიკოსების მოსაზრებები, რომლებიც „კონსერვატიული პარტიის“ დამარცხებას პროგნოზირებდნენ, თუმცა, გამოსაცნობი არაფერი იყო, რადგან ბორის ჯონსონის, ელიზა-

ბეტ ტრასის, ტერეზა მეის პრემიერმინისტრობის პერიოდში ბრიტანეთმა ეკონომიკურად და პოლიტიკურად, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ დაიხია უკან. უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, რიში სუნაკის მიერ დანიშნული ვადამდელი არჩევნების შემდეგ, პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ მას სურდა, ნებაყოფლობით გადაებარებინა ხელისუფლება და ამით თავი აერიდებინა მოსალოდნელი პასუხისმგებლო-



ბისგან ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო.

მართალია, „ლეიბორისტული პარტიის“ გამარჯვებას ვარაუდობდნენ ბრიტანელი ანალიტიკოსები, მაგრამ კონსერვატორების ასეთ მარცხს არავინ ელოდა. ლეიბორისტებმა პარლამენტში 422 ადგილი მიიღეს, კონსერვატორებმა — 120, ხოლო ლიბერალ-დემოკრატებმა — 71. პარლამენტში უმრავლესობით შესასვლელად 326 მანდატიც საკმარისი იყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ლეიბორისტებმა გაცილებით მეტი ადგილი მოიპოვეს.

კონსერვატორების, კერძოდ, რიში სუნაკის მიერ დამარცხების აღიარების შემდეგ, გამარჯვებული პარტიის ლიდერი კირ სტამერი ბუკინგემის სასახლეში მეფე კარლ III-მ მიიღო. გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მეფემ შესთავაზა კიმ სტამერს,

გახდეს სამეფოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობის ფორმირებას შეუდგეს“. ვინ დაიკავებს მინისტრების თანამდებობებს, ამის შესახებ ბრიტანული პრესა ჯერ არაფერს იუწყება.

მართლაც განსაკუთრებული მოვლენა მოხდა ბრიტანეთში. უსახელოდ დასრულდა კონსერვატორების 14 წლიანი მმართველობა. გაერთიანებულ სამეფოს ახალი, რიგით 58-ე პრემიერ-მინისტრი ჰყავს. კირ სტამერი 1962 წელს არის დაბადებული. პოლიტიკური კარიერის დაწყებამდე იურიპრუდენტით იყო დაკავებული. ქვეყნის წინაშე დამსახურებებისთვის დაჯილდოებულია „რაინდის ორდენით“ და მინიჭებული აქვს ლორდის ტიტული. გამოირჩევა ანტირუსული პოზიციით. იგი რამდენჯერმე შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენ-

სკის და არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში რუსეთთან ბრძოლაში დახმარებას დაჰპირდა.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყების შემდეგ პირველად ჩავიდა უკრაინაში უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, ამჯერად, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსით. კიევში ორბანი პირადად შეხვდა ზელენსკის. გავრცელებული ინფორმაციით, ორბანი ურჩია მასპინძელს, განიხილოს

კიევში, უკრაინის ხელისუფლების განცხადებით, ნებისმიერი შეთანხმება უკრაინასთან დაკავშირებით მათ გარეშე დაუშვებელია.

მხოლოდ უკრაინაში როდი აღმოფხვრის ორბანის რუსეთში ჩასვლით. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიაჩნია, რომ ორბანის ვიზიტი უნგრეთის მოკავშირეებთან ურთიერთობას აზარალებს. გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა სოცქსელებში მკაცრად გააკრიტიკა ორბანი მოსკოვში ჩასვლის გამო. „ორბანი პუტინთან ჩავიდა როგორც უნგრეთის პრემიერი. ევროსაბჭოს საგარეო პოლიტიკას შარლ მიშელი აწარმოებს“, — დაწერა შოლცმა სოცქსელებში. შარლ მიშელმა, რომელიც თანამდებობას ტოვებს, თავის მხრივ განაცხადა: „ორბანს აქვს უფლებამოსილება, რუსეთს ევროკავშირის სახელით ესაუბროს“.

რუსეთიდან ორბანი მოულოდნელი ვიზიტით ჩინეთში ჩავიდა და ქვეყნის მმართველს სი ძინპინს შეხვდა. მოულოდნელობის მიუხედავად, ორბანი თბილად მიიღეს. განსახილველი თემა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირება იყო.

ორბანის კრიტიკა არ დაიხარა ევროკავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერლაიენმა, რომელსაც საფრანგეთის პარტია „პატრიოტების“ ლიდერ-

მა ფლორიან ფილიპომ უპასუხა, რომ მის მიერ ორბანის მოსკოვში ვიზიტის კრიტიკულად შეფასება სიგიჟეა. „იმედია, ევროკავშირი მალე მოკვდება, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას“.

ირანში კი საპრეზიდენტო არჩევნებში მასულ პეშუმეიანიამ გაიმარჯვა.

საფრანგეთში ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში სამი პარტია ლიდერობს, მაგრამ არცერთს არ აქვს იმდენი მანდატი, რომ მთავრობის ფორმირება მოახდინოს. გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მინისტრები და ჩინოვნიკები უკვე ახალ სამსახურებს ეძებენ.

საგარეო ურთიერთობების მსოფლიოში მართლაც რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელია.

ბიბა ბურღული



ის კი გაიხსნა, მაგრამ მე წამი-
ერად შემეფარა მოკრძალებული
პაციფისტი რუსი ლენაჩკა. ჩემში
საბჭოთა ჯარში, შუაგულ ციხიბი-
ში ყოფნის მოგონებებმა გაიღვიძა...
ვინ დაგაცდის სიყვარულის გაღ-
ვივებას? ოკუპანტი თუ არის რუ-
სეთი, მაცადეთ, ოკუპანტისთვის
შესაფერისად მოვექცე. მართალია,
ასაკობრივად შეუფერებლები ვართ,
მაგრამ რა უჭირს, რომ დიდი ვარ,
ფუნსაცმელი ხომ არ ვარ, ფეხიდან
გაფეხრე; ან ის ხომ არ არის ფუნსა-
ცმელი, რომ, რადგან პატარაა, მომი-
ჭიროს?

ყური ვკიდევ, გაპკივის რომელი-
ღაცის ტელევიზორი, „გონჩარე-
ვი“ მესმის. რას ამბობდა, არ ვიცი,

ლა დაძრწა. ვეროსაბჭოს ასამბლეამ
არ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა,
მაგრამ აჭრილზე კიდევ რას იჭრები
შვილო, წადი, შედი სახლში!

ერთი მარტივი რამის თქმა მინდა
— ვერაფერი ვერ გავიფიქრე და და-
რეტიანებული ვამბობ, სამშობლოს
ღალატის დილიხორის ზისგან ნე-
ბისმიერი არაქართული საქმის მკე-
თებელი შორს გაგორებულა? ხე
ვიცი, ვინ არის და რაც არის, ამ
ხიდან ჩამოცვნილი დამპალი ვაშ-
ლებისთვის ვედარ მიგვიხედია?

აღადგინეთ სამშობლოს ღალა-
ტის მუხლი!

გაასწორეთ და გაამკაცრეთ ახ-
ლმოდებული ე. წ. გამჭვირვალო-
ბის კანონი და ბოლოს და ბოლოს,

მოვიდა, შემდეგ ნატალია ჩაენაცვლა
და შთაგონებული სახით დაასვენეს,
უკრაინაში ზუსტად იმით დაიწყო
ომი, რომ ჩვენთანაც ასე გაიღდა ფეხი
ამ აგენტურულმა ქსელმა და მიგ-
ვიყვანეს ომამდე; თქვენი ამბავიც
მასე იყო 2008-ში, მაგრამ მაშინ სხვა
სიტუაცია იყო, თან საქართველო პა-
ტარა და სხვანაირი შედეგი დაი-
დო; ეს ჩვენი უკრაინის მთავრობა,
ვევლანი აგენტები არიან, ზოგი ვისი
და ზოგი — ვისი; მგონი, მართ-
ლა დავიფიქრო, რომ „ახალი იერუ-
სალიმისთვის“ ტერიტორია უნდა იყო;
ზელენსკის რა ენადვლება, დადის
თვალდებამოტრიალებული, არტის-
ტია და ახლაც როლია, უთხრეს,
პრეზიდენტი ხარო და თავი მართლა
უკრაინის პრეზიდენტი ჰგონია; რა
ჭკვიანი და ძლიერი მთავრობა გყავთ
საქართველოს, გვეურსო და ა. შ. —
აზრობრივი თანხედრა გვქონდა.

ჩვენი ეზოს „სენატი“ სხდომა

პურის მოსატანად გავიდი და ახ-
ლა ჩემს მეზობლებს, თავიანთი ქვეყ-
ნებიდან ომის გამო გამოქცეულებს,
რუს ნატალიასა და უკრაინელ ანდ-
რეის ერთად ველაპარაკებოდ.

ბიჯო, ერთმანეთში არიან ხოში-
ანად, მართლა რომ გენეტყური ძმა
ერები არიან, შენ რატომ, სწადი ბო-
როტების, რას ერჩი, რატომ აომებ?
თუ ვილაცების თავებში მოხარბული
დაპყრობითი ომი არ არის, ცალკე
აღებული ერების ხალხებს არასდ-
როს სძულთ ერთმანეთი. აგერ მაქვს
ცოცხალი მაგალითი, საქართველო-
ში თავშეფარებულ ორი, ომში მყოფი
ქვეყნის მოქალაქეებს, როგორი
სიამტბილობაც ჰქონდათ ომამდე,
ისეთივე აქვთ და, ამასთანავე, საქარ-
თველოს მაღლიერი არიან. რა ვიცი,
მიშველ-ტბილად ვწერ სიმართლეს,
— თუ მშვიდობა მინდა ჩემს საქარ-
თველოში, რატომ უნდა ვიყო მხარე...

სრული სერიოზულობით ვამ-
ბობ, — ქართველების მიერ საქარ-
თველოს ღალატი აღარ მიკვირს —
ფულის სუნს დანატრებული უჯიშო
ძუკნები არიან. ამჯერად ის მიკვირს,
ასე ღიად რანაირად მტრობენ სა-
ქართველოს ვილაც გადამთილებ-
თან ერთად? — რაღაც ციკრე მარ-
ცვალი ხომ მაინც უნდა გქონდეს
ქართულ შინაგან ეთიკაში...

კარგი, „ჩვენი“ უსამშობლო-
ები არიან, ის გადამთილები ვილა
უსაქმურები არიან, ჩვენი რომ
მოუცლიათ?

ისე, კაცმა რომ თქვას, რა უნდა
გაგიკვირდეს და რა უნდა მოსთხო-
ვო იმ ქვეყნის თავაკაცებს, სისხლ-
ში რომ არის ამოვლებული, მაგრამ
გვი-პარადის ჩატარება არ ავიწყდ-
ება? ქუჩა-ქუჩა პაციფისტების ძალა-
დობრივ მოკრებას, ვე მზამზარული
პიდარასტები აომე, არ სჯობს?

გონჩარენკო ვინ ჯანდაბაა, რომ
მასზე მოვცდე, მაგრამ საქმე ის

არის, რომ „კრებსითი გონჩარენ-
კოები“ გვესხმიან თავს..... — განა
რამე, მეექვსე თითი არ მოგვაკვი-
ტონ, მაგრამ არც მიღმა ჩატარება
ივარგებს...

ამ პატარა ერმა რომ აქამდე მო-
ვიტანეთ თავი და არ გაექრით ზო-
გიერთი დიდი ცივილიზაციასავით,
ეს იმის ნიშანია, რომ ხელჩართულ
ბრძოლაში ქართველის მომგები არ
დაბადებულა! აბა, დღეს ვილაც ჩია
კაცი რომ ხარ და პულტზე ხელის
დაჭერის იმედი გაქვს, მე რა ვქნა, ამ
მოდღეობილმა კაცმა, შურდულით
გემო?

მოგახსენეთ, ჩემს არაიატალიურ
ეზოში და მიმდებარედ, რუსების,
უკრაინელებისა და ბელორუსების
ცვენაა. წლებია, არ დამჭირვებია,
მაგრამ ახლა ენას ვიტყვ, რუსულს
ვიხსენებ. ესენიც კიდევ, ასაკოვანს
რომ მხედავენ, დარწმუნებული არი-
ან, რუსული ეცოდინებაო და გაგ-
ვიდის ლაი-ლაი. რუს კლასიკოსთა
გარდა, რა კარგი ქურუნი ენა რუ-
სული — რა სიტყვაც უტბად არ
მომავონდება, ჩაყურთავ „ბლიად“
და აზრი გასაგებაა.

ამ ჩემ „კულტოში“ ვქაქანებ რა-
ღაცას „ბლიად“, ბლიადით“ და უკ-
რაინელ ანდრეის კითხვა დაებადა.
კითხვა ფრიად აქტუალური იყო,
თან ჯერ კრებსით გონჩარენკოებს
მორიგი იდიოტობა არ ჰქონდათ
დახეულებული. აქამდე არარსებულ
ენაზე ავუხსენი ძალზე მარტივად
და გაიხარა ყველამ — ვაპ, ჩვენ
რატომ ვერ მიგვზღვით აქამდე? მე
გავიბლინძე (ნეტავ, რა ენაზე ავუხ-
სენი?). შემოსწრებულმა ლენაჩკამ
მაცდური ღიმილით მკითხა რუსეთ-
საქართველოს ურთიერთობაზე და
იქვე დაადუმეს უჩემოდ — აბა, სად
ხარ ახლავ? „პუტინ ვისი ზნაეტ“,
— მინავლულად თქვა და ხმა აღარ
ამოუღია.

მაგრამ კარგს ხომ არაფერს იტყო-
და?

ამ უკრაინას კიდევ, ჩვენ რომ არ
გვიკიბინოს, საქმე გამოლევია — ყვე-
ლა კაი კაიფშია? სრულებით არ ვამ-
ბობ დამაძინებელ გარემოებაში —
არაადეკავტურთან ვაკავშირებ.....
ელემენტარულია

შვილო, თუ შე ვირიშვილო
(ვირს რას ვერჩი!), რომ მეუბნები,
აკი ღვთის განგებით ხდება ყველა-
ფერი, ესეც ღვთის განგებაა, კიფ-
პეჩორის ლავრის დარბევა ღვთის-
ჩამოკრულ პანგებად ჩათვალეთ, —
რაგინდ ნაკლებად მორწმუნე ვიყო,
ციური მხედრის დედამიწისეული
მხედრად მოვლინებული, ამოგამ-
რობ მაგ ენას!

ერვანდა დამაღდა ამჯერად ეზო-
ში, სლუში, არა ვჭამოთ? რასაა, რო
იმენა წერამ, ხმამახლათ რო უთხ-
რა, ვერ გაიგებენო? აქ რათა ზიხარ,
სახლი წავართვენო?

დავადუმე, მეთქი, ახლა ამ უკრა-
ინელებს, გონჩარენკოა თუ რა ჩემი
ფეხებია, ის უნდა ვალანძღვინო-
მეთქი. მაიცა, რა, მარჯანიშვილიდან
ცხელი „ნეკნები“ მოვიტანე, ჰამა,
ბიძინა ივანიშვილმა 30 ლიმონი და-
ლო.

„ნეკნებმა“ კი ამაცქმუტა, მაგ-
რამ ჯერ გონჩარენკო და ხიზანი უკ-
რაინელები! ვა, შენ კიდევ რა მაგარი
პატრიოტი ხარო. ერვანდას გამო-
დევნების თავი არ მქონდა, „კომი-
ცია“ თუ „სენატი“ გავხსენი ეზოში.
რა „ნაციონალური მოძრაობის“
მიერ საქართველოს წინააღმდეგე კი-
დევ ერთი რეზოლუცია ჩავარდა; რა
რადიკალები ითხოვენ საქართვე-
ლოსთვის წვერობის გაუქმებას, —
და ავიჭვრიითი.

წითლიძე, ბუგაშვილი და გონჩარ-
ენკო ისე გაიგდეს ჩემმა ხიზანმა,
გაურკვეველი ვადით მეზობლებმა,
მთლად ნემეცი მსაჯვის ვარიანტირი-



დაარქვით ყველაფერს კუთვნილი
სახელი!

მხოლოდ „ფრანკლინის კლუბი“
კი არა, მთელი საქართველო დაქ-
სელილია ადგილობრივი თუ უცხო
ქვეყნების აგენტებითა და მათი სა-
ჯაშუშო ფულით. როდემდე უნდა
გაგრძელდეს ასე!

ესენი ამოვთქე, კულტურულად
ვიფურთხე და დამშვიდების ნაცე-
ლად, უფრო გაგზარაზდი და ეზოს
„სენატს“ ვუთხარი, დავიშალეთ-
მეთქი.

ერვანდამ ამოისუნთქა, თავი-
სი მოტანილი შებოლილი ნეკნები
ანაღვლებდა, მაგრამ ამ სლაგმა ქა-
ლებმა რა იციან, — არაო, არ და-
ვიშალოთ, ნემოუყო კიდევ ვიჭუკ-
ჭუკუთო.

არა და „ტაკი“ ახლა მიფურეთ
თქვენ! — აქამდე გასუსული ნანული
წამოხტა და აწვევტილი შევარდა
სახლში. ინტერნაციონალური სა-
მეზობლო დაეჭვდა, რა ეწინა „წო-
წია“ ნანულისო?

— არაფერი, ეგ ცოტა ვგრე
ლეტნად არისო, — აუხსნა ერვან-
დამ კრებას.

სიტყვაში ამჯერად ანდრეი გა-

ლენაჩკა იჯდა გაბუსუნებული
და ხმას არ იღებდა, მხოლოდ მისკენ
ატრიალებდა თავს, ვინც იმ მომენტ-
ში საუბრობდა.

ერვანდას ვგვიანობისა ხომ ვი-
ცი და მეთქი, ნეტავ, რატომ არ
არკვევს, ლენაჩკა რატომ არის აქ
თავშეფარებული, ჩემი პატივისცე-
მით? გაიფიქრე და ჰკითხა კიდევ
— მე უხერხულ მდგომარეობაში
ჩავევარდი. ჩემი ძმის გამო, — სამ-
ხედროა, ადრევე გამოასწრო, მაგ-
რამ ცოლ-შვილთან ერთად არის და
ამიტომ მე ცალკე ვარო.

— გველო, მოდი აქ! — გამოი-
კვილა ნანული.

— რა უნდა იმ გიფსა? — მკითხა
გაოცებულმა ერვანდამ.

— „გველო“ რა არის? — იკითხა
ნატალიამ

— „გალუბჩიკი“, — სერიოზული
სახით იცრუა ერვანდამ.

სიცილი ამიბყდა, მეთქი, ერ-
ვანდ, ახლა ამ სამისთვისაც რომ
„გველი“ იქნები და მასე დაგიძახე-
ბენ, რას იზამ?

— ზურაჯან, არსია მთავარი!
ამითვინ „გალუბჩიკი“ ვიქნები, —
დინჯად ამიხსნა ერვანდამ და ნანუ-
ლის სახლისკენ წაკუსკუსდა.

გამოხდა ხანი და მოდის დახუნ-
ძლიერი ერვანდა და ამბობს, ეხ-
ლა ნანულას ტელევიზორში იცი,
რა უთხრეს, ნანულას სასტავი და
სტრატეგია გაერთიანებულან —
აგე, გველების სასტავი!

ნანულიმ ნეკნებზე შემოგვამატა
სადმურძლაგი და გარგარის არაფი.

როგორც თქვენ არ იცით, ისე
მე და ერვანდამ არ ვიციოთ სლაგი
ქალების ამბავი — დილას რომ გა-
მედვიდა, ლენაჩკას ვინ დარდობს,
ერვანდას ჩეფიკი მე მელო თავზე.



ოსალეთის იმპერიაში მოღვაწე ქართველი პატივსაცემი სულთანის ბაბიჯი



(დასასრული, დასაწყისი „სგ“ N24)

სულთან მაჰმუდ II-ის პარემში დიდი ინტრიგები იხლართებოდა. ამაში გვარაუდებლად იმ პერიოდში მოღვაწე სასახლის მთავარი ხაზინადარი, ებრაელი წარმომავლობის ექსპერტმა მალაქი, როგორც სხვა წყაროები გვიდასტურებს, სათაპულა ხათუნი.

სწორედ მისი მემუარებიდან ირკვევა, რომ ფარული დაპირისპირების სულიწამდგმელი მაჰმუდ II-ის ცოლი და მომავალი ვალიდე სულთანი იყო. ვალიდე ბეზმიალემ სულთნის (1808-1853 წწ.) შესახებ მწირი ცნობები არსებობს. ამ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი განეკუთვნება მისი შვილის, აბდულ-მეჯიდ პირველის (1839-1861 წწ.), მმართველობის ხანას, როცა ბეზმიალემ ოფიციალურად გახდა „ვალიდე სულთანი“. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული პერიოდის შესახებ ოფიციალური ცნობები არ დასტურდება, ბეზმიალემ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვალიდე სულთანი იქცა. მისი შესახებ არსებობს უამრავი ლიტერატურული ნაწარმოები, სპექტაკლი და ფილმი. მას ეძღვნება არაერთი ისტორიული ნარკვევი. მინდა, გამოვეყო სტამბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ არზუ თერზის სამეცნიერო და სალიტერატურო ნაშრომი, რომელიც გამოიცა 2018 წელს სახელწოდებით „ბეზმიალემ სულთანი“. მასში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ბეზმიალემ სულთანი წარმოშობით ყირიმელი იყო. თავს უფლებას მიეცემ, არ დავეთანხმო პატივცემულ პროფესორს და კორექტივი შევიტანო ამ საკითხში. ჩემს თვალსაზრისს ამყარებს ბეზმიალემ ვალიდე სულთნის თანამედროვეთა გადმოცემა, კონკრეტულად კი ოსმალეთის ფლორის ადმირალის, ადოლფუს სლეიდის მოსაზრება მისი ქართული წარმომავლობის შესახებ. ეს ინფორმაცია ნდობას იმითაც იწვევს, რომ სლეიდი მიიჩნეოდა XIX საუკუნის ერთ-ერთ სანდო წყაროდ უახლოესი ადმოსავლეთის შესახებ. სლეიდის ვერსიას ადასტურებს ფრანგი მეცნიერი ჟანეტ დე ბაზორც საკუთარ ნაშრომში „ოტომანთა იმპერიის ვალიდე სულთნები“ (გამომცემლობა „საფრანგეთი“, 1999 წელი). როგორც ჩანს, ვალიდე ბეზმიალემ სულთანი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი აღმოჩნდა პარემში, როგორც

ტყვე. იგი კონსტანტინოპოლის ტყვეთა ბაზარზე მონათმფლობელისაგან შეიძინეს. მისი დაბადების თარიღად, სავარაუდოდ, მიიჩნევა 1807 წელი. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ შვილის გაჩენის მომენტში ის დაახლოებით 18 წლისა უნდა ყოფილიყო. „ქადინ ეფენდის“ ტიტული მას ებოძა 1823 წელს. 1839 წლისთვის, როცა მაჰმუდ II გარდაიცვალა, ოფიციალურად სულთნის მეორე ცოლად ითვლებოდა. სულთან აბდულმეჯიდის ტახტზე ასვლის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ის იყო პირველი პირი უკანასკნელი 189 წლის განმავლობაში, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ გახდა ქვეყნის მმართველი. საქმე ის არის, რომ ოსმალეთის საშინაო პოლიტიკას გარკვეულწილად განაპირობებდა „ფათი-პას კანონი“, რომელსაც სხვანაირად „მთათაქველ კანონსაც“ უწოდებდნენ. ის უფლებას აძლევდა ოსმალეთის ტახტის უფროს მემკვიდრეს, დაეხოცა დანარჩენი მემკვიდრეები (ქართ. უფლისწულები). ამ აქტის მიზანი ის იყო, რომ არ დარღვეულიყო ბალანსი, ალკვეთილიყო ბრძოლა პირველობისთვის, რასაც უთუოდ მოჰყვებოდა ომი და არეულობა. აბდულმეჯიდის მმართველობიდან იწყება რადიკალური ცვლილებები, რომლებიც მოიხსენიება სახელწოდებით „თახმინათი“ (1839-1876 წწ.) ეს რეფორმები გამოიჩინა იმით, რომ გულისხმობდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებსაც. რეფორმების ძირითადი პრინციპები წარმოიჩინა იყო სულთან აბდულმეჯიდის მიერ გამოცემულ „გიულიჰანეს პათ-ი შერიფში“, რომელიც ითარგმნება როგორც „ფადიშაჰის წერილი“. რეფორმების იდეა და ინიციატივა მომდინარეობდა პროგრესულად მოაზროვნე და განათლებული ჯგუფისგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუსტაფა რეშიდ ფაშა (1800-1858 წწ.). ამ ურთულეს პერიოდში ბეზმიალემ ვალიდე სულთანი ყველაწინაირად ეხმარებოდა შვილს, ვინაიდან აბდულმეჯიდი ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, არ გააჩნდა უზარმაზარი სახელმწიფოს მართვისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. აქედან გამომდინარე, სულთნის დედა არა მხოლოდ ერეოდა სახელმწიფოს

მართვა-გამგეობაში, არამედ დიდ გავლენას ახდენდა შვილზე, გარკვეულწილად განაპირობებდა მის მიერ წარმოებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხასიათსა და მიმართულებას. ბეზმიალემ ვალიდე სულთანი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ატყობინებდა შვილს სასახლესა და სასახლის მიღმა მიმდინარე ყველა მოვლენის შესახებ, რათა გაეფრთხილებინა მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე. ხოლო, როცა აბდულმეჯიდი ქალაქიდან მიემგზავრებოდა, დედა წერდა წერილებს, რათა სულთანს არცერთი წერილმანი არ გამოჰპარვოდა. ამ წერილებმა ჩვენამდე მოაღწია. ისინი დაწერილია ულამაზო, უსწორმასწორო ასოებით და გამოირჩევა უამრავი ენობრივი შეცდომით. უდავოა, რომ ვალიდე ბეზმიალემ სულთანი თავად წერდა მათ. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის წარმომავლობას. დადიოდა ხმები ბეზმიალემ სულთნის მექრთამეობის შესახებ. ცნობილია, რომ 1859 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, დიდმა ვეზირმა ქიბრისლი მეჰმედ-ემინ ფაშამ ერთ-ერთ „დივანი-ე ჰუმუმიონზე“ (ქართ. სამთავრობო სხდომა) საჯაროდ ამხილა იგი მექრთამეობაში, რასაც მოგვიანებით დიდი ვეზირის გადაყენება მოჰყვა. სწორედ ვალიდე ბეზმიალემის სახელს უკავშირდება ის გარემოება, რომ ოსმალეთის იმპერიაში კორუფცია უკონტროლო გახდა და მთელი ქვეყანა მოიცვა. მიუხედავად ამ არცთუ სასიამოვნო ფაქტორისა, თანამედროვეები ბეზმიალემ სულთანს მოიხსენიებდნენ როგორც გონიერ, ფრთხილ, გულსხმიერ, გულუხვ ქალს. ამ თვისებების წყალობით მან შეძლო, გარკვეულწილად შეეცვალა თავისი შვილის, აბდულმეჯიდის ხასიათი, აღმოეფხვრა მის პიროვნებაში ისეთი თვისებები, როგორებიც პატივმოყვარეობისა და ამპარტავნობისკენ მიდრეკილებაა. არავისთვის დასამალი არ ყოფილა ის გარემოება, რომ იგი საჭიროების შემთხვევაში ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, რათა შვილს დახმარებოდა.

ავადმყოფებისთვის, აეგო საავადმყოფოები, სკოლები, ხიდი, მქეთი. სწორედ მისი საქველმოქმედო საქმიანობა იქცა იმის საფუძვლად, რომ სტამბოლის სამედიცინო უნივერსიტეტი დღეს ბეზმიალემ - სულთნის სახელს ატარებს, რადგან მის სიცოცხლეშივე, 1845 წელს არის აშენებული. ბეზმიალემ ვალიდე სულთანი იყო ერთ-ერთი ყველაზე სახალხო და საზოგადოების ყველა ფენისთვის მისაღები პიროვნება. იხსენებენ, რომ იგი თავად ხვდებოდა გაჭირვულ ადამიანებს, ზრუნავდა ობლებზე, უხდოდა ვალებს მათ, ვისაც ამის საშუალება არ გააჩნდა. ავადმყოფებისთვის, აეგო საავადმყოფოები, სკოლები, ხიდი, მქეთი. სწორედ მისი საქველმოქმედო საქმიანობა იქცა იმის საფუძვლად, რომ სტამბოლის სამედიცინო უნივერსიტეტი დღეს ბეზმიალემ - სულთნის სახელს ატარებს, რადგან მის სიცოცხლეშივე, 1845 წელს არის აშენებული. ბეზმიალემ ვალიდე სულთანი იყო ერთ-ერთი ყველაზე სახალხო და საზოგადოების ყველა ფენისთვის მისაღები პიროვნება. იხსენებენ, რომ იგი თავად ხვდებოდა გაჭირვულ ადამიანებს, ზრუნავდა ობლებზე, უხდოდა ვალებს მათ, ვისაც ამის საშუალება არ გააჩნდა.

ნი ტუბერკულოზით იტანჯებოდა. როგორც ჩანს, ეს დაავადება გარდაცვლილი ქმრისგან, მაჰმუდ II-ისგან ერგო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ავადმყოფობა XIX საუკუნეში უკურნებლად მიიჩნეოდა, საუკეთესო ექიმების ძალისხმევით, დიაგნოზის დასმოდან 10 წელი იცოცხლა. ვალიდე ბეზმიალემ სულთანი 46 წლის ასაკში, 1854 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია თავისი მეუღლის, მაჰმუდ II-ის მავზოლეუმში. დასასრულ, მინდა, შევაჯამო სათქმელი და განვმარტო მიზეზი და მიზანი, რომლებიც წინამდებარე სამეცნიერო ნარკვევის ბიძ



მაჰმუდ II



გად იქცა. კიდევ ერთხელ უნდა შევეხო ისტორიულ კონტექსტს და გავიხსენო ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო XVI საუკუნე, როცა ოსმალეთის უზარმაზარმა იმპერიამ საქართველოს გარკვეული ნაწილი შთანთქა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოსთვის ტრაგიკული მოვლენა „ტყვეთასყიდვა“ - ქართველების უდიდესი ნაწილის გადინება ოსმალეთში. ამ მოვლენას ვაფასებ, როგორც ეროვნული გენოფონდის განადგურების მცდელობას. მაგრამ ყველა მოვლენას აქვს მეორე მხარეც. ჩემი მიზანი სწორედ ის იყო, რომ წარმოემჩინა საქართველოდან მოტაცებული და ტყვეთა ბაზარში გაყიდული იმ გოგონების ხედრი, რომლებმაც ბედისწერის სათავეს დაუდვეს. ისინი არ დაიკარგნენ ცხოვრების დაუნდობელ ქარტუნებში. თავიანთი სილამაზის, ნიჭის, გონიერების, პოლიტიკური ალღოს, ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის წყალობით შეძლეს დიდების მწვერვალზე ასვლა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს.

დავით ჯიჯიშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ისტორიული იუბილა - „ფაზისის“ აკადემია 1750 წლისაა!

ყოველ ქვეყანას აქვს თავისი ისტორიული გადასახედი, ისტორიული მემკვიდრეობა რომ ინახავს, ეს ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულია, რაც სიამაყისა და ღირსების გრძობით გვაკვებს და გვაკადღებებს, გვაგაგრძელოთ ტრადიციები და ისინი თანამედროვეობის მოთხოვნებს შევუთავსოთ. ცნობილი გამოთქმაა - „ვინც პატივს არ მიაგებს წარსულს, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა“. ჩვენ საზეიმოდ აღვნიშნავთ ისტორიული ფაზისქალაქის, როგორც ანტიკური ხანის საგანმანათლებლო ცენტრის იუბილეს, მისი რიტორიკულ-ფილოსოფიური აკადემიის 1750 წლის იუბილეს, რომელსაც უმნიშვნელოვანე-

ისტორიის კვლევა-აღდგენა დაიხატა მიზნად „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა, აწ გარდაცვლილმა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ. საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი უნდა დაუბრუნდეს თაობებს. კოლხეთის ისტორიის კვლევის საკითხებს მიეძღვნა ჟურნალ „ცოტნიედელის“ 10 ტომი მისივე რედაქტორობით. აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კოლხური-მეგრული ენის პოპულარიზაციის საკითხებს. რამეთუ მისი მილიარდობით ლექსიკა მიუთითებს კოლხეთის უძველეს ცივილიზაციაზე, კულტურაზე, ყოფაზე, რაც უნდა შეისწავლოს მსოფლიო მეცნიერებმა. არ შეიძლება ასეთ


მოხსენება არცერთ სამეცნიერო ლიტერატურაში. დროა, აღდგეს ისტორიული სამართლიანობა, ფოთს დაუბრუნდეს უძველესი სახელი „ფაზისი“ და ეწოდოს „ფოთი-ფაზისი“.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთის - ფაზისის უკავშირდება საქართველოს საზღვაო ისტორია. კოლხეთი ზღვას უკავშირდებოდა თავიანთ ბედს. ისინი სამყაროს უბირველეს ნაოსნებად სახელდებიან.

აღსანიშნავია, რომ 1984 წელს (საბერძნეთის ქალაქ ვოლოსი -სტამბული-ფოთი, შემდეგ რიონით გალაკტიონის სოფელ ჭყვი-შამდე) ორიათას კილომეტრიანი მარშრუტი ინგლისელმა მეცნიერმა და მოგზაურმა, ტიმ სევერინმა ძველბერძნული ნიმუშის აფრიანი და ზოფებიანი ნავით - „არგოთი“ გამოიარა და დაამტკიცა, რომ სამიათას სამასი წლის წინათ საბერძნეთიდან კოლხეთში ნაოსნობა შესაძლებელი იყო. მოგადრო და დაინიშნება მსოფლიო ტურისტული მარშრუტი არგონავტების ნაკვალევზე, ფაზისის გავლით.

ამ სულსკვეთებით წარიმართა „ფაზისის“ აკადემიის 1750 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნურობის სასწავლებლის დარბაზში ა/წ. 30 ივნისს. საიუბილეო ღონისძიებას ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები, კოლხეთის ისტორიის მკვლევრები, აკადემიის წევრები რეგიონებიდან და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.

ბერძნულ-რომაულ ისტორიულ წყაროებზე და მსოფლიოს სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, ფაზისისა და მისი აკადემიის შესახებ ვრცელი მოხსენე-



ბით გამოვიდა ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, კოლხეთის ისტორიის მკვლევარი, ბატონი გია კვაშილაძე. „ფაზისის“ აკადემიის საქმიანობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა აკადემიის სწავლული მდივანი, ქალბატონი ეკა კარტოზია.

ქალაქის საკრებულოს წარმომადგენელი გია დარჯანიძე, ქალაქის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი გვანცა გვაძაბია, საქართველოს ვეტერანთა კავშირის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარე პაატა გუგუნიანი, ფოთის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი თამაზ პაჭკორია, ფაზისის აკადემიის ჩონატაურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ალექო კიკნაძე, რომელმაც წაიკითხა ამჟამად ორგანიზაციის თავმჯდომარის, ჩონატაურის საპატიო მოქალაქის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, რევაზ თედორაძის მილოცვა.

საღამოზე კოლხეთისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა ლუიზა ჩხეტიამ. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სენაკის ცნობილი ქალთა ტრიო „კოლხეთი“, სახელოვნურობის სასწავლებლის მოსწავლეებმა ბრწყინვალედ შეასრულეს სიმღერები და საფორტეპიანო ნომრები.

კონფერენციაზე დაიხვია საკითხი ფაზისის აკადემიისათვის შესაფერისი შენობის გამოყოფის თაობაზე (ქალაქის პარკში ხანძარმა გაანადგურა აკადემიის ულამაზესი შენობა. მას შემდეგ არცერთ მთავრობას არ უზრუნია ამ დანაკლისის გამოსასწორებლად).

კონფერენციაზე ითქვა, რომ მეცნიერების განვითარების გარეშე წარმოდგენილია ქვეყნის წინსვლა-განვითარება. ამის მაგალითია ჩვენი დიდი წარსული. ერმა უნდა იამაყოს მეცნიერების ამ სიმაღლეებით. საბედნიეროდ, ჩვენ მართლაც დიდი გადასახედი გვაქვს - „ფაზისის“ აკადემია!

დაე, მუდამ გზას გვინათებდეს ფაზისის ჩაუქრობელი კანდელი.

ზურაბ აბრალაშვილი



სი ადგილი უჭირავს კოლხეთის 3000-წლოვანი კულტურის ისტორიაში. მნიშვნელოვანია ამ დიდი აკადემიის ისტორიის შესწავლა და გადაცემა მომავალი თაობებისათვის, რათა იცოდნენ, ჩვენი შორეული წინაპრები როგორ დიდ ყურადღებას უთმობდნენ კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას, როგორც დიდ იმპერიებთან თანასწორი ურთიერთობის საფუძველს.

ამდენად, ეს ისტორიული თარიღი მრავალი პარამეტრით არის გამორჩეული. აღსანიშნავია, რომ თავად ბერძენი ფილოსოფოსები კოლხეთის რიტორიკულ სკოლას საბერძნეთისა და ბიზანტიის უმაღლესი სასწავლებლებზე უფრო მაღლა აყენებდნენ ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში. ამას განაპირობებდა ფაზისის, როგორც კოლხეთის სავაჭრო ეკონომიკური ცენტრის - ევრაზიის ფორფოსტის ფუნქცია. ის, რომ კოლხეთის ფილოსოფიური აკადემია ქალაქ ფაზისთან არსებობდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა, ვაიმეცნიერები ასეთ დაშვებას არ გამორიცხავენ. იმედია, ეს კონფერენცია ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს. ფაზისი არის საქართველოს კოლხეთის ცივილიზაციის სათავე. კოლხეთით იწყება საქართველოს ისტორია. სწორედ ამ ნაცარმყერილი



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდრი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი
 შპს საბავშვთა ცენტრი „საერთო სიტყვა“
 მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილაშვილი
 რედაქტორი და გამოცემამდი: თამარ ხარჩილაშვილი
 სარედაქციო კოლმპია:
 თამარ შველიძე, ვია ბურდული, მაია ჭვლიძე, ზურაბ ომხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭილაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველეხიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარცია (გაყრუებულების მენეჯერი) 599 58 72 50.
<http://www.saertomedia.com>

მის.: თბილისი, სლავა მატრეველის ქ. 18;
 ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
 E-mail: saertogazeti@yahoo.com. <http://www.saertomedia.com>
 რეგისტ. № 202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოცემა: შპს „ელვა-ჯი“
 +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

 2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შპს-ებში, ავტორის პრინციპით არ ეთანხმება არცერთ რედაქციას ავტორის მიერ მოწოდებულ მასალას ავტორის განმარტებით. შპს-ებს უფლება აქვთ გამოიყენონ მასალა, თუ მისი გამოყენება არ ეწინააღმდეგება ავტორის ნებართვას.
 © ამ ნომრით აღნიშნული სარედაქციო მასალა.
 იმპრეზია შპს „სასაველ-დარსაველის“ სტამბაში. ავტორის 39. ტელ.: 234-39-99